პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. ს. ს. რ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ. დეპ. საბ.
ც. აკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24, ტელეფონი 14 76.
ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—11.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—11.500.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 8.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

№ 248 შაბათი, 27 ოქტომბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 400.000 მ ნ. № 248

დღიური

— სპარსეთში ახლო ხანში შედგება ახალი მთავრობა, რომელშიც შევლენ სოციალისტები.

— დოლარი ბერლინში 69 მილიონი ფასობს, გირვანქა პური – 8 მილიარდი ღირს.

— სომხეთში ჩატარდა ყოფილ დაშნაკთა კონფერენციები, რომლებმაც დაშლილათ გამოაცხადეს დაშნაკციუტუნი.

— „როტე ფანეს“ გამოსვლა განახლდა.

— ახლო ხანში მოწვეული იქნება ახალი კონფერენცია საკონტრიბუციო საკითხის განსახილველად.

გაზეთ „კომუნისტი“-ს კანტორისაგან

რუსთაველის პრ. № 24, მეორე სართული.

კანტორა ამით აცნობებს ყველა ხელის მომწერლებს, რომ ნოემბერში გაზ. „კომუნისტ“-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები:

თვიური ხელის მოწერა ტფილისში	
შინ მიტანით . . .	11.000.000 მან.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის	11.500.000 მან.
კოლექ. ხელის მოწ. მხოლოდ მუშებ.	8.000.000 მან.
ჟურნალ „ნიანგი“-ს ფასები:	
თვიური ხელის მოწერა ყველასათვის	2.000.000 მან.
ერთი ეგზემპლიარი . . .	1.000.000 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. კანტორა სთხოვს ყველა ხელის მომწერლებს ხვედრი ფული თავის დროზე შემოიტანონ, ვინაიდან გაზეთი ნისიათ არავის გაეგზავნება.

„კომუნისტი“-ს რედაქცია და კანტორა

მიმართავს ყველა ხელის-მომწერთ და ექსპედიციის აგენტებს თხოვნით
შეგვატყობინონ ყველა შემთხვევები გაზეთების არ მიღების, დაგვიანების თუ სხვ. შესახებ, რათა საშუალება მოგვეცეს გავიგოთ რა მხრივ მოიკოჭლებს გაზეთების ტრანსპორტისა და განაწილების საქმე.

დაუყოვნებლივ იქნება მიღებული სათანადო ზომები.

ცნობები გამოგზავნეთ გაზ. „კომუნისტის“ კანტორის მისამართით: ტფილისი, რუსთაველის პროსპ. 24, მეორე სართული.

ტელეფონი ტფილისის ხელის მომწერთათვის 14—76

გერმანიის პროლეტარიატის ფონდში პარტიის წევრებისა და კანდიდატების მიერ ძვირფასი ნივთების ჩაბარების ვადის შესახებ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტი ძვირფასი ნივთების **ჩაბარების ვადათ** ნიშნავს შაბათს, 27 სექტემბერს. ის ამხანაგები, რომლებიც არა საპატიო მიზეზების გამო ვადაზე არ ჩააბარებენ ნივთებს, პასუხისგებაში იქნებიან მიცემული.

24 ოქტომბრიდან ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტის ფინანსიური განყოფილება მიიღებს ძვირფას ნივთებს საღამოობითაც (საღამოს 6 დან 8 საათამდე)

ტფ. კომიტეტის მდივანი **რუბენი.**

გერმანიის რევოლუცია და სოციალ-დემოკრატია

ჰამბურგის ქუჩებში და მის ახლო მდებარე რაიონებში გრძელდება ხელჩართული სამოქალაქო ბრძოლა პოლიციასა და აჯანყებულ მუშებ შორის. ქუჩები და უბნები ხელიდან ხელში გადადის. დიდი აღელვებაა ბერლინში და გერმანიის სხვა ცენტრებში. ბევრ ადგილას, კერძოდ საქსონიაში, ხდება შეტაკებები პროლეტარულ რაზმებსა და რეიხსვერის ნაწილებ შორის. მრავალია მოკლული და დაჭრილი.

გაჩაღებული ბრძოლის განვითარება და შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად უფრო ეტი მშრომელი მასა ჩაებმება ასში, თუ რამდენად მოახერხებს ერმანიის პროლეტარიატი ერთიანი ფრონტით და შემჭიდროებული რიგებით გამოსვლას კოალიციონური მთავრობის და მთელი რეაქციის ძალების წინააღმდეგ.

აქ დგება საკითხი სოციალ-დემოკრატიის პოზიციის შესახებ ამ გადამწყვეტ მომენტში.

გერმანელ მენშევიკების მთელი წარსულის გათვალისწინებით წინასწარ შეიძლებოდა იმის თქმა, თუ რა დამოკიდებულებას დაიჭერდნენ ისინი იმ ამბებისადმი, რომელნიც ახლა იშლებიან გერმანიაში, დადგებოდნენ ისინი ბარიკადების აქეთა თუ იქითა მხარეზე.

მათ მოახდინეს 1918 წლის რევოლიუციის ლიკვიდაცია. ისინი მთელი ძალღონით სცდილობენ ბურჟუაზიის ბატონობის გახანგრძლივებას, ისინი თანამშრომლობენ შტრეზემანთან და მათ მიმდევარ მუშებს უკან ექაჩებიან და აშორებენ რევოლიუციონურ მოქმედებისაგან.

გერმანიის მენშევიკებმა არც ახლა უღალატეს თავის ბუნებას; ისინი აშკარად გამოდიან რევოლიუციის მესაფლავეების, მუშათა კლასის ჯალათების როლში.

გუშინდელმა რადიომ გვაუწყა: **ჰამბურგის აჯანყებულ მუშების წინააღმდეგ შემდგარ „რესპუბლიკანურ რაზმებში“ შედიან სოციალ-დემოკრატებიც.**

ისინი აგრეთვე სცდილობენ საყოველთაო გაფიცვის ჩაშლას: ჰამბურგის სოციალ-დემოკრატების ოლქო კომიტეტის პრეზიდიუმმა და სრულიად გერმანიის მოსამსახურეთა კავშირის ადგილობრივმა ორგანიზაციამ, რომელშიც გაბატონებული არიან მენშევიკები, მიმართეს მუშებს მოწოდებით— არ გაჰყვენ კომუნისტებს და უარყონ მათ მიერ გადმოსროლილი ლოზუნგი საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების შესახებ.

მენშევიკები ეწევიან ერთიანი ფრონტის საბოტაჟს. საქსონიაში კომუნისტების მოლაპარაკება სოციალ-დემოკრატებთან ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ დამარცხებით გათავდა.

ასეთია ცნობები.

ეს ფაქტები მეტყველებენ თავის თავად.

გერმანიის სოციალ-დემოკრატია ერთხელ კიდევ იდენს უდიდეს და გამოუსყიდავ დანაშაულობას მუშათა კლასის და რევოლიუციის წინაშე. ის, უკეთ მისი ზედაფენები ისევ გამოდიან ბურჟუაზიის დამხმარედ. ოღონდ შეინარჩუნონ პორტფელები და თბილი ადგილები, ოღონდ არ დაკარგონ ბურჟუაზიის მიერ გადმოგდებული ნასუფრალი.

მაგრამ სულ სხვანაირად არიან განწყობილი სოციალ-დემოკრატიის ქვედაფენები. სოციალ-დემოკრატიის პარტიული არისტოკრატიის და პროფესიონალური ბიუროკრატიის სისტემატიურმა ღალატმა ბოლოს თვალი აუხილა მათ მიმდევარ მასებს. უდავო ფაქტია, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატია იშლება გაუგონარი სისწრაფით. ეს უძლიერესი პარტია, რომელსაც რაღაც ერთი წლის წინედ ორ მილიონამდე წევრი ჰყავდა, უკანასკნელ ხანებში მხოლოდ შვიდას ათას კაცს თუ ითვლის. ეს პარტია დღითი-დღე დნება. ის კლებულობს არა მარტო რიცხობრივად: ის იხრწნება შიგნით, იქ უმაგალითო უდისციპლინობა და არევ-დარევა სუფევს.

მთელი ცოცხალი ძალა გერმანიის სოციალ-დემოკრატიიდან დგება კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ.

გერმანელ კომუნისტებს აწევთ თავზე უდიდესი მოვალეობა: გამოფხიზლებულ სოციალ-დემოკრატიულ მასის და გერმანიის ყველა მშრომელთა თავმოყრა, მობილიზაცია და მათი ორგანიზაციულად ჩაბმა ბრძოლაში.

გერმანიის კომუნისტური პარტია აკეთებს უაღრეს საერთო სახალხო და ნაციონალურ საქმეს, რომელიც მდგომარეობს გერმანიის ხალხის განთავისუფლებაში შინაური მყვლეფელებისა და გარეშე დამპყრობელებისაგან. მისი ლოზუნგები მისაღებია მთელი გერმანიის მოსახლეობის აბსოლიუტური უმრავლესობისათვის.

ეს გარემოება საბუთს გვაძლევს ვსთქვათ, რომ კომუნისტური პარტია, წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატიისა, შესძლებს მთელი მშრომელი ხალხის დარაზმვას რევოლიუციონურ ბრძოლისათვის.

და ეს ხალხი თავის რისხვას თავზე დაატეხს არა მარტო ბურჟუაზიას, არამედ მის მაჩანჩალა და დამქაშ სოციალ-დემოკრატიასაც.

მხოლოდ ამ გზით, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის სრული დამსხვრევით, მათი ლიდერებზე გადაბიჯებით შეიძლება გერმანიის რევოლიუციის გამარჯვება. საქმეთა ვითარება სწორედ აქეთკენ მიგვაქანებს.

ვინ არიან ფაშისტები

I

ამ უკანასკნელ წლებში ევროპიული ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივდა ფაშისტური მოძრაობა. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ ეპოქაში, როდესაც მოვლენები ერთმანეთს სცვლიან კინემატოგრაფიული სისწრაფით, როდესაც დღეს არსებული ხვალ უკვე ძველდება და უვარგისათ ხდება. საზოგადოებრივ ძალთა ბრძოლამ უმწვერვალეს საფეხურს მიაღწია. პოლიტიკაში მყოფ მოვლენებმა თავი იჩინეს და თავის ადგილს ითხოვენ. ძალთა ასეთ საოცარ ჭიდილში ჩვეულებრივ ობივატელის გონება იბნევა, ვერ ერკვევა. ის, რაც მას მიაჩნდა წმინდათა წმინდათ და მუდმივათ, დღეს ირყევა და ზანზარებს.

რაღა არის ის ფაშიზმი, რომლის შესახებ ასე ბევრს ლაპარაკობენ დღეს? რა იყო მიზეზი ფაშიზმის წარმოშობის და საითკენ მიდის ის? პასუხი ამაზე შეუძლია მისცეს მხოლოთ მარქსისტს, შეიარაღებულს დიალექტიური მატერიალიზმის მჭრელი იარაღით.

როდესაც 1917, 18 და 19 წლებში პროლეტარული რევოლიუცია გადავიდა მძლავრ იერიშებზე ბურჟუაზიული სამყაროს წინააღმდეგ, მაშინ ეს სამყარო შედრკა, შეშინდა. ამას იგი არ მოელოდა და ამიტომ დაიბნა, ვერ მოასწრო გონების და ძალთა მობილიზაცია. პროლეტარიატის გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო ერთი დიდი შემაფერხებელი გარემოება. ეს იყო სოციალ-დემოკრატიის პრაქტიკული და თეორეტიული ოპორტუნიზმი, რომელიც გამოიხატებოდა მუშათა კლასის ღალატში მსოფლიო ომის ხანაში და მას შემდეგ. ეს ისტორიული დანაშაულობაა 2 ინტერნაციონალის და მისი პარტიების. აი, ამ შემაფერხებელმა ფაქტორმა გადაარჩინა ბურჟუაზიული წესწყობილება სრულს დაიხობას. იმან მოიკრიბა მთელი ძალღონე, კარგათ გამოიყენა სოციალ-დემოკრატიული მავრი თავის ინტერესებისათვის, შეკუმშა მთელი ძალები, რომ გამკლავებოდა მუშათა მოძრაობას.

ვარშავის კარებთან ჩვენი რევოლიუციონური ჯარების დამარცხებამ და პოლონეთთან ზავის შეკვრამ კიდევ უფრო ფრთები შეასხა დასავლეთ ევროპის გახარებულ ბურჟუაზიას. **იწყება ახალი ხანა ევროპის ცხოვრებაში, რომელიც ხასიათდება მით, რომ ბურჟუაზია გადმოდის შეტევაზე მუშათა კლასის წინააღმდეგ.** კაპიტალის ეს შემოტევა ჯერაც არ დასრულებულა. მისი მიზანია ყველა მუშათა მონაპოვრების მოსპობა, 8 საათის სამუშაო დროის გაუქმება და სხვა. რაშია საქმე? ნუ თუ მუშათა კლასი დასავლეთ-ევროპაში რეაქციის საშინელ კლანჭებში მოექცა? ნუ თუ მას არ შეუძლია მისი თავის დაღწევა?

მთელ რიგ აჯანყებებმა გერმანიაში, უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკათ გამოცხადებით მაგალითმა, იტალიის მუშების მიერ ფაბრიკა ქარხნების დაკავებამ 1920 წ. და მრ. ასეთებმა ბურჟუაზია დაარწმუნა იმაში, რომ ძიაი აღსასრულის დღე მოახლოვებულია, რომ ადრე თუ გვიან მისი რეჟიმი უნდა შეიცვალოს მშრომელთა რეჟიმით. ამას კი ბურჟუაზია ვერასოდეს ვერ შეურიგდებოდა. ამიტომ იმან იწყო ზადება, რომ მუშები თავის რკინის მუხრუჭებში მაგრათ გამოემწყვდია, რომ შექმნა ისეთი მოძრაობა და მთავრობა, რომელიც მთელის თავისი ენერგიით გაატარებდა კაპიტალისტების გადარჩენისათვის ყველა საჭირო ღონისძიებებს. შექმნა ახალი პირობები, ნოყიერი ნიადაგი, რომელზედაც უნდა გაძლიერებულიყო მემარჯვენე ბურჟუაზიული ფრთა. იტალიის ფაშისტები ამის პირველი მოციქულები იყვნენ. **ფაშიზმი—ეს მძლავრი რეაქციაა ბურჟუაზიის მხრივ** მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობის წინააღმდეგ 1917, 18 და 19 წლებში. ფაშიზმი გახდა საერთაშორისო მოვლენათ, რადგან ბურჟუაზიის სიკვდილის საფრთხე ყოველგან იდგა და სდგას: საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში ისევე, როგორც იტალიაში. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ფაშისტები „მოღვაწეობენ“ არა მარტო იტალიაში, არამედ სხვა ევროპიულ ქვეყნებშიაც. ფაშისტებმა ჩაიგდეს ხელში იტალიის გარდა ესპანეთი, ბულგარეთი და ბავარია. სხვა ქვეყნებში კი ისინი ჯერობით ძალებს რაზმავენ გამარჯვების მოსაპოებლათ. აქედან აშკარაა, რომ ფაშიზმი არ არის ისეთი რამე, რასაც ჰქონდეს შემთხვევითი ხასიათი და რაც არ იყოს გამოწვეული ღრმა ისტორიული მიზეზებით. თუ ის აზრი არის მართალი, თითქოს ფაშიზმის გახრწნა და მოსპობა შესაძლო იყოს ერთი დღიდან მეორე დღემდე. ასე ფიქრი მარტო გულუბრყვილობა იქნებოდა. ყოველ მოვლენას პირდაპირ უნდა შევხედოთ და დავაფასოთ ის ობიექტიურად. რასაკვირველია, ფაშიზმი ისტორიულად გამოწვეულია, როგორც თვით კაპიტალისტური საზოგადოება, მაგრამ ეს ჯერ კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მას არ ჰქონდეს ბრძოლის ისეთი საშუალებები და მეთოდები, რომლებიც მის არსებობას დროებით გაახანგრძლივებენ. აი, ამ ბრძოლის მეთოდების და საშუალებების, ჩვენი მტრების ყველა რეალური ძალების გამოკვლევას და შესწავლას აქვს **უდიდესი აქტუალური მნიშვნელობა ჩვენთვის, როგორც მებრძოლი პარტიისათვის.** მტრის ძალების ცოდნა საჭიროა იმისათვის, რომ შევსძლოთ მას მივსცეთ ჯეროვანი ბრძოლა თავის ადგილას და თავის დროს. კომუნისტური პარტია არასოდეს არ მალავდა და არ მალავს იმ საფრთხეს, რომელიც მოელის მუშათა კლასს ფაშიზმისაგან. პირიქით, მისი მთელი ყურადღება მიქცეულია იქითკენ, რომ გამოარკვიოს მშრომელთა ფართე მასებისათვის ფაშიზმის მთელი დამღუპველი მნიშვნელობა ევროპიული მუშათა კლასის და მთელი კულტურისათვის. რუსულ ენაზე მთელი ლიტერატურაა დაწერილი ფაშისტების მოძრაობის საკითხზე. ქართულ ენაზე კი ძლიერ ცოტა რამ დაწერილა და ამიტომ საჭიროთ მივაჩნია ამ საკითხის ფართედ გამორკვევა-გაშუქება.

ქ. ორაგველიძე

სამოქალაქო ომი გერმანიაში

(„ზაკროსტა“-ს ცნობები).

აჯანყება ჰამბურგში: ბრძოლა ჰამბურგის ქუჩებში გრძელდება. გარბურგში, გაიფიცენ მუშები, გაფიცულებსა და პოლიციას შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა.

აჯანყება სხვა რაიონებსაც მოედო. დრეზდენში მოხდა შეტაკება რეიხსვერსა და მუშებს შორის.

არეულობა და გაფიცვები: ბერლინში შესწყდა უმუშევრებისათვის დახმარების მიცემა. დაარბიეს 50 პურის საცხობი და საყასბოები. შუა გერმანიის ნახშირის რაიონში საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა. ბრაუნშვეიგის რაიონში დაარბიეს ფურნეები.

ბავარიის კონფლიქტი ცენტრთან: ბავარიის მთავრობამ აკრძალა ბავარიაში ბერლინის და უცხოეთის გაზეთების გავრცელება. კარი მოითხოვს საიმპერიო მთავრობის რეორგანიზაციას და სოციალ-დემოკრატების განდევნას პრუსიის და გერმანიის მთავრობებიდან.

სეპარატისტული მოძრაობა: პფალცის სოციალ-დემოკრატებმა გამოაცხადეს პფალცის ავტონომია. გერმანიის ცენტრალურ მთავრობას განზრახვა აქვს გამოაცხადოს რურისა და რეინის ავტონომიური რესპუბლიკა გერმანიის ფარგლებში. მცხოვრებლები დიდ წინააღმდეგობას უწევენ სეპერატისტებს, რომლებსაც ეხმარებიან ფრანგები. საფრანგეთის მთავრობას განზრახვა აქვს იცნოს რეინის დამოუკიდებელი რესპუბლიკა.

დაპყრობილ ოლქებში: რურში იხურება ყველა ფაბრიკა-ქარხნები. უკვე დაითხოვეს 100.000 მუშა.

აჯანყება ჰამბურგში

სისხლისმღვრელი შეტაკება მუშებსა და პოლიციას შორის

ბერლინი. 26 ოქტომბერი. გარბურგში (ჰამბურგის მახლობლად) მუშებმა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს. შეტაკება მოხდა მუშებსა და პოლიციას შორის.

პროლეტარიატის ძალები არ დაიძაბება.

ბერლინი. 24 ოქტომბერი. ჰამბურგში ბრძოლა გრძელდება. შავბეკის უბანში, მუშებმა ნამდვილი ხანგრები გასჭრეს. პროფკავშირთა კომისიას განუწყვეტელი სხდომები აქვს. მან კი წინადადება მისცა კომპარტიასა და სოციალ-დემოკრატიას, მიემართონ სრულიად გერმანიის პროფკავშირთა კომისიას, რათა შეწყვიტონ ბრძოლა და პროტესტის ნიშნად გაფიცვა გამოაცხადონ.

კომპარტიამ უარჰყო ეს წინადადება და განაცხადა, რომ კომპარტია ხელმძღვანელობს ხემნიცის ათთა კომისიის დადგენილებით და პროლეტარიატის ძალთა დაქსაქსვა არა მსურს.

ბრძოლა სხვა რაიონებსაც მოედო

ბერლინი. 26 ოქტომბერი. მაინც-ფრანკფურტში, ადლერის ქარხნის გაფიცულ მუშათა და პოლიციის შორის შეტაკება მოხდა. მოკლულია ერთი მუშა. დაჭრილი ბევრია.

მუშების შეტაკება რეიხსვერთან.

ბერლინი. 26 ოქტომბერი. დრეზდენის რაიონში რამდენიმე შეტაკება მოხდა მუშებისა და მთავრობის ჯარის შორის.

არეულობა და გაფიცვები

შიმშილობა მთელ გერმანიას მოედო.

ბერლინი. 24 ოქტომბერი. მთელს გერმანიაში ხდება გაფიცვები და უმუშევართა მღელვარებანი.

შუა გერმანიის ნახშირის რაიონში გაფიცულნი არიან სამთო მადნის წარმოების მუშები.

ბრაუნშვეიგის ნახშირის რაიონში დაარბიეს პურისა და სურსათის დუქნები.

კასსელში დუქნების დარბევის დროს შეტაკება მოხდა პოლიციასთან, რასაც შედეგათ მოჰყვა მრავალის დაჭრა.

შტეტინში გემების ამშენებელ სახელოსნოების ადმინისტრაციამ ლოკაუტი გამოუცხადა მუშებს. მუშებმა დაიკავეს სახელოსნოები, მაგრამ შემდეგ განდევნილ იქნენ პოლიციის მიერ.

აჯანყება სიმშილის ნიადაგზე.

ბერლინი. 24 ოქტომბერი. ფულის ნიშნების ნაკლებობის გამო, უმუშევრებს დახმარების მიცემა მოუსპეს. ერთი გირვანქა პური 8 მილიარდი მარკა ღირს.

50 პურის დუქანი და საყასბო დაარბიეს. ბევრია დაპატიმრებული.

წითელი საქსონიის დასაცავად

ბერლინი. 24 ოქტომბერი. მთელ რიგ სამრეწველო რაიონებში ხდება ნაწილობრივი გაფიცვები ეკონომიურ ნიადაგზე, ხდება აგრეთვე საპროტესტო გაფიცვები საქსონიაზე თავდასხმის წინააღმდეგ. პროფკავშირებმა და პროლეტარულმა პარტიებმა გამოაცხადეს საყოველთაო გაფიცვა, საქსონიაზე თავდასხმის შეჩერების მიზნით. კომფრაქცია მოუწოდებს მუშებს თავიდან აიცილონ შეტაკება რეიხსვერის ჯარისკაცებთან და მიმართავს ჯარისკაცებს მოწოდებით დაიცვან საქსონია ბავარიის თავდასხმისაგან.

ბავარიის კონფლიქტი ცენტრთან

პრემიერთა თათბირის შედეგები.

ბერლინი. 26 ოქტომბერი. ცალკე სახელმწიფოთა პრემიერების თათბირზე ბავარიის წარმომადგენელმა ფონ შრეგერმა განაცხადა, რომ ბავარიის მთავრობის მოქმედებებს არ ჰქონდა მიზნათ ღალატი სრულიად გერმანიის მთავრობისათვის. კანცლერ შტრეზემანმა კი თავის მხრივ განაცხადა, რომ ცენტრალური მთავრობა მიისწრაფვის ცალკე რესპუბლიკების უფლებათა გათანასწორებისაკენ.

დასასრულს დადგენილი იყო, რომ ცალკე სახელმწიფოთა და ცენტრალურ მთავრობებს შორის და აგრეთვე, თანამდებობის პირთა შორის წარმომდგარი სადავო საკითხები უნდა მოგვარდეს სამოქალაქო, და არა სამხედრო, ხელისუფლების მიერ. დამოუკიდებლობის გაფართოების მოთხოვნის გამო, შტრეზემანმა განაცხადა, რომ ამ მოთხოვნილების შესრულება შესაძლებელი გახდება ახლო მომავალში

გერმანულ და უცხოეთის გაზეთების კონფისკაცია.

ბერლინი. 23 ოქტომბერი. კარის განკარგულებით, ბავარიაში კონფისკაცია უყვეს ყველა გერმანულ და უცხოეთის გაზეთებს, რომლებმაც დაბეჭდეს გენერალ სექტის მოწოდება.

კარი გრძნობს თავის ძალას.

ბერლინი. 23 ოქტომბერი. ოთხშაბათს შესდგა რეიხსრატის სხდომა, რომელზედაც გაირჩევა საკითხი ბავარიის კონფლიქტის შესახებ ცენტრთან. შტრეზემანი, ალბათ, დათანხმდება გააფართოვოს ბავარიის ავტონომია იმ მიზნით, რომ მოახერხოს კონფლიქტის მოგვარება. კარი არ კმაყოფილდება ამით და მოითხოვს **საერთოსაიმპერიო მთავრობის შეცვლას და სოციალ-დემოკრატების გამორიცხვას გერმანიისა და პრუსიის მთავრობებიდან.**

ბავარიის მთავრობა ანგარიშს არ უწევს რეიხსრატს.

ბერლინი. 23 ოქტომბერი. ოფიციალურ ცნობების მიხედვით, ბავარიის მთავრობა ფიქრობს, რომ რეიხსრატი, როდესაც ის განიხილავს საკითხს საიმპერიო და ბავარიის მთავრობებს შორის ჩამოვარდნილ კონფლიქტის შესახებ, უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ მოხსენებების მოსმენით საქმეთა მდგომარეობის შესახებ. **თუ რეიხსრატი მიიღებს რაიმე დადგენილებებს, ისინი სავალდებულო არ იქნებიან ბავარიის მთავრობისათვის.**

მოწოდება—აეროპლანებიდან.

ბერლინი. 23 ოქტომბერი ბავარიის მთავრობამ აღკრძალა ცენტრალურ მთავრობის მოწოდების გავრცელება ბავარიაში; მოწოდება შეეხება გენერალ ლოსსოვის გადაყენებას. ამის გამო მიუნხენში მოწოდებას ჰყრიდენ აეროპლანებიდან.

კონფლიქტის განხილვა ჯერ ჯერობით გადაიდო.

ბერლინი. 24 ოქტომ. რეიხსტაგის სხდომა ბავარიასთან კონფლიქტის განსახილავათ გადაიდო. მის მაგიერ გაიმართა ცალკე სახელმწიფოების პრემიერთა თათბირი დაწვრილებითი ცნობები თათბირის შესახებ არ არის ჯერ მიღებული.

სეპარატისტული მოძრაობა

სეპარატისტული მოძრაობა აახენში.

ბერლინი. 25 ოქტ. აახენში სეპარატისტები განდევნილ იქნენ მათ მიერ დაკავებულ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დაწესებულებათაგან, რომელნიც გერმანელ ხელისუფლების ხელში იმყოფებიან. **ბელგიის საოკუპაციო ხელისუფლებამ ქალაქში საალყო წესები გამოაცხადეს.**

იუგლიხში.

იუგლიხში მცხოვრებლებმა იერიშით განდევნეს სეპარატისტები ქალაქის თვითმართველობიდან და აგრეთვე თვით ქალაქიდან.

მაინცში.

მაინცში აღდგენილია წესრიგი; სეპარატისტებთან შეტაკების დროს მოკლულია რამდენიმე კაცი.

კობლენცში.

კობლენცში შაბათს, საღამოს სეპარატისტებმა ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება, **მაგრამ ჩქარა იქნენ დამარცხებული და განდევნილი.**

ვისბადენში.

ვისბადენში ჯერ კიდევ სეპარატისტების ხელშია ქალაქის თვითმართველობა.

დუისბურგში.

დუისბურგში სეპარატისტებმა დაიკავეს ადგილობრივი დაწესებულებები. ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენლებმა შეატყობინეს ამის შესახებ საფრანგეთის სარდლობას, **მაგრამ პასუხათ მიიღეს მხოლოდ ბრძანება განიარაღების შესახებ. პოლიციას იარაღი აჰყარეს.**

ბონში.

ბონში სეპარატისტების პირველი თავდასხმა მოგერიებულ იქნა ქალაქის თვითმართველობის შენობა დაიკავა საოკუპაციო ჯარებმა, რომლებმაც იარაღი აჰყარეს პოლიციას. ამის შემდეგ სეპარატისტებმა ხელახლა მოახდინეს თავდასხმა ქალაქის თვითმართველობის შენობაზე და დაიკავეს იგი. ქალაქის თვითმართველობის შენობის მეორეთ დაპყრობის შემდეგ, **საფრანგეთის ჯარებმა ალყა შემოარტყეს მთელ რაიონს და გამოცხადებულ იქნა დამოუკიდებელი რესპუბლიკა.**

გლადბახში.

გლადბახიდან სეპარატისტები განდევნილ იქნენ და იძულებული იყვნენ დაეტოვებიათ ყველა საზოგადოებრივი და სახელმწიფო შენობები.

საერთოდ სეპარატისტული მოძრაობა კლებულობს.

საფრანგეთის მიერ რეინლანდის დამოუკიდებლობის ოფიციალური ცნობა.

ბერლინი. 26 ოქტ. კობლენციდან **იუწყებიან, რომ საფრანგეთის სამხედრო კომისარმა მიიღო პარიზიდან ბრძანება სეპარატისტულ მთავრობის ოფიციალურათ და დე-იურე ცნობის შესახებ. ყოველ საათს მოელიან რეინის სამოკავშირეთაშორისო კომისიის ბრძანების გამოქვეყნებას ამის შესახებ.**

„სახელმწიფო ღალატი“

ბერლინი. 24 ოქტომბერი პფალცის სოციალ-დემოკრატებმა **ბავარიის ოლქი პფალცი გამოაცხადეს ავტონომიურ ოლქათ.** პფალცის საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ გერმანიისა და ბავარიის მთავრობები ახალ სახელმწიფოს დაარსებას სთვლიან სახელმწიფო ღალატათ.

რურ-რეინის რესპუბლიკის პროექტი.

ბერლინი. 24 ოქტომბერი. შტრეზემანი გაემგზავრა ვესტფალიაში, სადაც ის მოლაპარაკებას აწარმოებს პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლებთან დაპყრობილ ოლქების მდგომარეობის შესახებ. შტრეზემანის გამგზავრებას დიდ მნიშვნელობას აძლევენ, რადგან, ხმების მიხედვით, **ეს გამგზავრება დაკავშირებულია მთავრობის გადაწყვეტილებასთან გამოაცხადოს რურ-რეინის ავტონომიური რესპუბლიკა გერმანიის სახელმწიფოს საზღვრებში.**

პოლიტგანათლების მუშაობა ჩვენში

II

ჩვენში პოლიტგანათლების მუშაობა იწყება საქართველოს გასაბჭოების პირველ დღიდანვე. როგორც წინა წერილში აღვნიშნე („კომუნისტი“-ს № 242), პირველ ხანებში პოლიტგანათლების დაწესებულებები გადაიქცა სხვადასხვა პოლიტკამპანიების ჩამტარებელ აპარატებათ. იმ დროს ასეთ კამპანიებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. აქვე უნდა აიხსნას, რომ ჩვენში მაშინ ძალიან გამრავლდა ეგრეთ წოდებული აგიტ პუნქტები, გვქონდა აგრეთვე საგიტაციო მატარებელი, აგიტ-ავტომობილი და საგიტაციო თეატრი (სატირ-აგიტი).

ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემდეგ პოლიტგანათლების მუშაობა წარიმართა სხვა მიმართულებით. აგიტკამპანიები შემცირდა. საჭირო იყო მასის გათვითცნობიერება არა ზერელედ, არამედ საფუძვლიანად.

აგიტპუნქტების მაგიერ გაიხსნა სალიკვიდაციო სკოლები, წიგნთ საცავ სამკითხველოები, კლუბები, სახალხო სახლები, ქოხ-სამკითხველოები.

დღეს საქართველოში დაახლოვებით სალიკვიდაციო სკოლები არის 250, წიგნთ-საცავ სამკითხველოები—130, კლუბები—74, სახალხო სახლები—87, ქოხ-სამკითხველოები—815.

სულ 808 დაწესებულება, რომელსაც განაგებს პოლიტგანათლების მთავარმმართველობა.

მაგრამ ბევრ ადგილას მხოლოდ ქაღალდზე არსებობს ქოხ-სამკითხველო, ან სალიკვიდაციო სკოლა.

სოფლად ერთად-ერთი კულტურული დაწესებულება—ეს არის ქოხ-სამკითხველო. სოფლის სამკითხველოში შეიძლება თავის მოყრა, ბაასი ამა თუ იმ საკითხის შესახებ, გაზეთის „ხმა მაღლა“ წაკითხვა, სამაზრო ინსტრუქტორის, აგიტატორის მოსმენა და სხვა. დიდი კულტურული მუშაობის წარმოება შეიძლება ქოხ-სამკითხველოებში. დღეს კი ამას ვერ ვჭედავთ. სოფლის სამკითხველოში თქვენ ვერ ნახავთ არა თუ სოფლის მკითხველებისათვის შესაფერ წიგნებს, იქ ვერ ნახავთ თქვენ ჟურნალ-გაზეთებს.

ავიღოთ წ. კ. უცოდინართა ლიკვიდაცია. ამ მხრივ მუშაობა ჩვენში ძლიერ მოიკოჭლებს. მართალია, როგორც ვსთქვით, ჩვენ დღეს მოგვეპოება საქართველოში დაახლოებით 250 სკოლამდე, მაგრამ ამ სკოლებში სწავლის საქმე ვერ არის რიგიანათ დაყენებული. უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმე კი დღეს საბჭოთა რუსეთში დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის საქმეთ არის გამოცხადებული. უცოდინართა ლიკვიდაციას დაკვრითი ხასიათი მიეცა. 1927 წლისათვის საბჭოთა რესპუბლიკებში წერა-კითხვის არც ერთი არა მცოდნე არ უნდა დარჩეს. საბჭოთა რუსეთში ასეთ ლოზუნგს შესაფერი პრაქტიკული ზომებიც მოჰყვა. ჩვენში კი ჯერ ამ მხრივ თითქმის არაფერი გაკეთებულა. მართალია, პოლიტგანათლების მთავარ მმართველობას შედგენილი აქვს სამუშაო გეგმა, მაგრამ მის განხორციელებისათვის მუშაობა ჯერ არ დაწყებულა, საქართველოში კი დაახლოებით წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი აღწევს 1.344.743. თუ ამ რიცხვიდან გამოვრიცხავთ იმათ, ვისაც ჯერ სასკოლო ჰასაკამდე არ მიუღწევია და იმ რიცხვსაც, რომელსაც შეადგენენ სალიკვიდაციო პუნქტზე მომეცადინე მოზრდილი მცხოვრებლები, და მოხუცებულებს, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის მცხოვრებთა 65 პროც. უნდა გაიაროს სალიკვიდაციო სკოლები.

უნდა ითქვას, რომ ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ სალიკვიდაციო საქმეს მიაყენა დიდი ზიანი, ამის საილუსტრაციოთ შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი: 1921 წ. 1 ნოემბრისათვის რუსეთში ლიკპუნქტი იყო 17 462, ხოლო წერა-კითხვის სკოლა 2,774, 1922 წლის 1 ნოემბრისთვის: ლიკპუნქტი 11.126 და წერა-კითხვის სკოლა 250.

წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობის საქმეს მრავალი დაბრკოლება ელობება წინ. უპირველეს ყოვლისა სახელმწიფოს არ შეუძლია ერთბაშად გამოიღოს ის თანხა, რომელსაც უცოდინარობის მოსპობა მოითხოვს. შემდეგ ამისა ხელს უშლის ამ მუშაობას საქართველოს განსაკუთრებული ტოპოგრაფიული პირობები. ჩვენში ბევრია ისეთი რაიონები, სადაც ძნელია დასაყრდნობ პუნქტის დაარსება. ამ რაიონებში არა თუ მოზრდილებს, მოზარდ თაობასაც არ უნახავს სკოლა. ოსეთში, ხევსურეთში და სხვა რაიონებში არის პუნქტები, სადაც ვერ ნახავთ ვერც ერთ წერა-კითხვის მცოდნე ადამიანს. მათ პატარა სოფლებში ჩვეულებრივათ ცხოვრობს ორი სამი კომლი.

თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ ასეთ რაიონებში, ეს უნდა იქნეს გათვალისწინებული. გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ ლიკვიდაციის საქმეს ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ შესაფერი ლიტერატურა არ მოგვეპოება, და თუ რამ არსებობს, ძალიან მცირე. სახელმძღვანელოების გამომცემლობა უსათუოდ უნდა მოეწყოს რიგიანად.

რაც შეეხება ჩვენ მუშაობას კლუბებში, ქოხ-სამკითხველოებში, სახალხო სახლებში და სოფლის თეატრებში, ამის შესახებ გაკვრით გვქონდა ლაპარაკი ზევით.

უნდა დაუმატოთ შემდეგი:

ავიღოთ სამკითხველოები სოფლად არსებული სამკითხველოების ქსელი უსათუოდ უნდა გაფართოვდეს. ამ შემთხვევაში მცხოვრებთა ინიციატივას და მეცადინეობას უნდა მიეცეს გასავალი. „ზევიდან“ გახსნა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მცხოვრებლები აღმოჩნდებიან შეუძლებელნი

იქ, სადაც არ არის კულტურული დაწესებულება, როგორიც არის სახალხო სახლი, კლუბი, ან თეატრი, იქ სამკითხველოს გარშემო უნდა გაჩაღდეს კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა.

შეიძლება სამკითხველოებთან მოეწყოს დრამატიული, ან სხვა ასეთი წრე, შეიძლება იმართებოდეს საღამოები, იდგმებოდეს წარმოდგენები და სხვა.

ასეთივე მუშაობა უნდა სწარმოებდეს სოფლის კლუბებში, სახალხო სახლებში, სადაც ისინი არსებობენ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თეატრალურ მუშაობას პროვინციაში. დაბებში, სამაზრო ქალაქებში და მსხვილ სოფლებში არსებობენ დრამატიული დასები და სცენის მოყვარეთა წრეები, მაგრამ მათი მუშაობა უნაყოფოა: იდგმება ისეთი პიესები, რომლებიც არც ესთეტიური და არც იდეური მხრით არ არიან დამაკმაყოფილებელნი.

პოლიტგანათლების სამაზრო საგიტაციო მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს.

საერთოდ უნდა ვთქვათ, რომ საჭირო არის მუშაობის გაცხოველება. საჭირო არის პოლიტგანათლების ძველი აპარატების გარდაქმნა. პოლიტგანათლების მუშაობა უსათუოდ ორგანიულათ უნდა დაუკავშირდეს სახალხო განათლების მუშაობას. სხვა გზა არც კი არის. თუ სოფლის მასწავლებლები კულტურულ განმანათლებელ მუშაობაში არ მიიღებენ მონაწილეობას, ცხადია, რომ არაფერი გაკეთდება. დღემდის ასეთი კავშირი არ არსებობდა. ამის უმთავრესი მიზეზი პოლიტგანათლების სისუსტის არის უსახსრობა დღეს პოლიტ-განათლების დაწესებულება ადგილობრივ საშუალებებზე არის დამყარებული. ჩვენ კი ვიცით, რომ ადგილობრივად ძალიან ძნელი არის ისეთი საშუალებების გამონახვა, რომ შეიძლებოდეს კულტურულ მუშაობის ხარჯების დაფარვა. ამ გარემოებას უნდა გაეწიოს ანგარიში.

პოლიტგანათლების ხარჯთ-აღრიცხვის მეორე და მესამე განაკვეთებისა შეადგენდა დაახლოებით ას მილიარდს, მან მიიღო მხოლოდ 7 მილიარდი.

ცხადია, რომ ასეთ მატერიალურ სივიწროვის გამო პოლიტგანათლების მუშაობა ვერ იქნებოდა გაღრმავებული და ნაყოფიერი.

ასეთ მდგომარეობას უსათუოდ უნდა მიაქციოს ყურადღება სახალხო განათლების კომისარიატმა და უფრო კი ჩვენმა პარტიამ.

ს. ქურიძე.

2

უკანასკნელი დეპეშები

ჰამბურგის აჯანყება ჩააქრეს.

ბერლინი. 26 ოქტომბერი. რეიხსვერმა და ფლოტმა ჩააქრეს აჯანყება ჰამბურგში. ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში ბრძოლები გრძელდება. მუშათა შორის ადგილი აქვს მასიურ დაპატიმრებას.

მთავრობის ჯარები იკავებენ საქსონიას.

ბერლინი. 25 ოქტომბერი. რეიხსვერის წინსვლა საქსონიაში გრძელდება. იუწყებიან მრავალრიცხოვან დაპატიმრებათა შესახებ.

საყოველთაო გაფიცვების რაიონი.

ბერლინი. 25 ოქტომბ. ბრემენსა და ბრემენის ნავთსადგურში ფრეიგიზაკსა, ბლიუმენტალსა, კილსა, პრენსბურგსა და ლიუბეკში გამოცხადებულია საყოველთაო გაფიცვა. ბრემენში დაპატიმრებულია 50 აქტიური კომუნისტი, დარბეულია პარტიის ბიურო და სტამბა.

ბერლინის ყველა წარმოებებში გამოცხადებულია 1 საათის საყოველთაო გაფიცვა.

ფრანგებს სთხოვენ დახმარებას.

ბერლინი. 26 ოქტ. აახენიდან იუწყებიან, რომ რეინის სეპარატისტთა ლიდერი, დეკკერი, თავის წერილში რეინის კომისიის მიმართ სთხოვს საფრანგეთის მთავრობას დააკავებინოს საფრანგეთის ჯარებს ის ადგილები, „სადაც გამოცხადებულია რეინის დროებითი მთავრობის ხელისუფლება, რათა დაცულ იქნეს ჩვენი მუშაობა და ჩვენი პიროვნება გერმანიის პოლიციის თავდასხმისაგან“. ამ წერილის გამო ბელგიელები დაეხმარენ სეპარატისტებს აახენის დაჭერის დროს.

უთანხმოება სოციალ-დემოკრატების ბანაკში

ბერლინი. 25 ოქტომბერი. რეინვესტფალიის პროფკავშირებმა აახენში და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციებმა გაგზავნეს ბერლინში დეპუტატი ერნესტი მოხსენებით მთავრობისადმი დაკავებულ ოლქებში მდგომარეობის შესახებ. მოხსენებაში ნათქვამია, რომ თუ მთავრობა არ მიიღებს სასწრაფო ზომებს მოსალოდნელი კატასტროფის თავიდან ასაცილებლად, სოციალ დემოკრატიული ორგანიზაცია და პროფკავშირები იძულებული იქნებიან დამოუკიდებლად დაიწყონ რეინის და რურის საკითხების გადაჭრა.

სოციალ დემოკრატიული პარტიის ცეკას თათბირზე ერნესტის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრეს მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებმა მიულერმა და ველსმა, რომელთა დამშვიდება ამაოდ სცადა პრეზიდიუმმა. გამოირკვა, რომ სოციალ-დემოკრატებს არც კი აცნობეს მთავრობის და კელნის ბურგომისტრის მოლაპარაკების და შეთანხმებულათ შემუშავებულ გეგმების შესახებ.

მთავრობის „ზომები“

მარკის კურსი.

ბერლინი. 24 ოქტომ. დოლარის ოფიციალური კურსი 69 მილიარდ მარკას უდრის.

მარკის სწრაფი დაცემა ნიუ-იორკის ბირჟაზე.

ნიუ-იორკი. 24 ოქტ ნიუ-იორკის ბირჟაზე დოლარი 25 მარკა ფასობს.

„როტე-ფანე“ კვლავ გამოდის.

ბერლინი. 24 ოქტ. „როტე-ფანე“-ს სტამბა კვლავ გახსნეს. პფეიფერი და სამშაბათს დაპატიმრებული სხვა კომუნისტები გაანთავისუფლეს.

შტრეზემანი რეპრესიებით ემუქრება წითელ მბეჭდავებს.

ბერლინი. 26 ოქტ. ცენტრალური მთავრობა სასტიკ რეპრესიების შემოღებით ემუქრება მუშა-მბეჭდავებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი განახორციელებენ განზრახულ გაფიცვას და გაზეთებისა და ფულის ნიშნების ბეჭდვის შეწყვეტას.

სიკვდილით დასჯის მუქარა გაფიცვისათვის.

ბერლინი. 26 ოქტ. შტეტინში სამხედრო სარდლობამ სიკვდილით დასჯის მუქარის ქვეშ აკრძალა გაფიცვის გამოცხადება.

დაპყრობილ ოლქებში

სამთომადნო მრეწველობის შეჩერება.

ბერლინი. 26 ოქტ. ესსენ-დან იუწყებიან: რადგან მრეწველებისა და საოკუპაციო მთავრობის მოლაპარაკება [illegible] ჩაიარა, მრეწველებმა დაადგინეს, მუშაობა შესწყვიტონ [illegible] სამრეწველოებში. ამგვარად ამ სამრეწველოების მუშები მომავალ კვირიდან დარჩებიან უმუშევრად და სოციალურ უზრუნველყოფის გარეშე.

100 000 მუშის ლოკაუტი.

ბერლინი. 26 ოქტომბერი. რურის ოლქში 100.000 მუშას გაუსწორეს ანგარიში და დაითხოვეს. ლოკაუტს ასაბუთებენ იმით, რომ აღარ შეუძლიათ ხელფასის განაღდება.

უდიდესი ლოკაუტი.

ბერლინი. 26 ოქტომბერი. რადგანაც მოლაპარაკება საფრანგეთ-ბელგიის საოკუპაციო ხელისუფლებასთან უშედეგოდ დარჩა, რურისა, რეინლანდისა და ვესტფალიის ყველა მაღაროები იკეტება.

გერმანიის ამბების გამოძახილი

ნორვეგიის კომპარტიის მოწოდება

ქრისტიანია. 23 ოქტ. ნორვეგიის კომპარტიისა და პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო მოუწოდებენ მუშებს, მხარი დაუჭირონ რევოლიუციას, გერმანიის მუშათა კლასისადმი თანაგრძნობისა და სოლიდარობის გამოცხადებით.

პოლონეთის მუშები გერმანიის რევოლიუციის მესაფლავეობას არ გასწევენ.

ვარშავა. 23 ოქტ. მიტინგზე, რომელსაც 1000,000 კაცი დაესწრო, სეიმის დეპუტატი ლანცუცკი შეეხო მთავრობის საომარ სამზადისის შესახებ გავრცელებულ ხმებს, იმ შემთხვევისათვის, თუ გერმანიაში იფეთქა რევოლიუციამ და მოუწოდა მუშათა კლასს, **არ გახდნენ გერმანიის პროლეტარულ რევოლიუციის მესაფლავეები.** ლანცუცკიმ განაცხადა: **„დადგა პოლონეთის მუშებისა და ღატაკი გლეხობის ამხედრების დრო უნდა მოვითხოვოთ არა ნაწილობრივი, არამედ სრული ხელისუფლება!“**

ლანცუცკის სიტყვამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

მიტინგს ალყად ჰყავდა შემოკრული ქვეითა ჯარი, ცხენოსანი და პოლიცია.

საბჭოთა კავშირის მშრომელთა ხმა

დახმარება გერმანიის დამშეულ ბავშვებს

მოსკოვი. 26 ოქტომბერი. გერმანიის დამშეულ ბავშვთა დახმარების ლიგა, რომელიც შესდგა მოსკოვის მუშა ქალების ინიციატივით, ხსნის თავის განყოფილებებს ს. ს. რ. კავშირის ყველა მსხვილ ცენტრებში. მიღებული ცნობის მიხედვით, ადგილებზე უკვე დაიწყო შემოწირულებების შეგროვება ფულით, ნივთებით და ოქროთი.

მზად არიან საერთაშორისო ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

როსტოვი. 26 ოქტომბერი. სამხედრო ნაწილებს გერმანიის ამბების შესახებ გაკეთებულ მოხსენებების შემდეგ გამოაქვთ რეზოლიუციები, რომლებშიაც აცხადებენ, რომ წითელარმიელები ფხიზლათ ადევნებენ თვალყურს გერმანიის ამბებს და მზად არიან ბრძოლისათვის საერთაშორისო ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

საკონტრიბუციო საკითხი

განზრახულია ახალი კონფერენციის მოწვევა საკონტრიბუციო საკითხის განსახილველად. საკონტრიბუციო საკითხს გრცლად შეეხენ ამერიკის ყოფილი ელჩი ინგლისში გარვეი და სამხრეთ-აფრიკის—პრემიერი სმუტსი.

ინგლისის პრემიერმა ბალდვინმა ოფიციალურად დაადასტურა ცნობა კონფერენციის მოწვევის შესახებ. კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებს ამერიკაც.

საკონტრიბუციო საკითხის განსახილველად ახალი კონფერენციის მოწვევის შესაძლებლობა.

ლონდონი. 25 ოქ. ლონდონის პოლიტიკური წრეები ძლიერ არიან დაინტერესებული საკონტრიბუციო საკითხის შესახებ ახალი კონფერენციის მოწვევის შესაძლებლობით. ასეთი კონფერენციის მოწვევის მომხრე არიან, მაგალითად, ამერიკის ყოფილი ელჩი ლონდონში გარვეი და სამხრეთ-ამერიკის პრემიერი სმუტსი.

ბანკეტზე წარმოთქმულ სიტყვაში სმუტსმა განაცხადა, რომ დადგა დრო ახალი კონფერენციის მოსაწვევად, რათა საბოლოოთ იქნას გადაჭრილი საკონტრიბუციო საკითხი. კონფერენციაში მონაწილეობა უნდა მიიღონ როგორც დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა, ისე ამერიკამაც. მდგომარეობა იმდენად სერიოზულია და იმდენად მძიმეა, რომ [illegible]ტიკურ მოღვაწეებს. არც საკონტრიბუციო კომისიას, არც ერთა ლიგის საბჭოს არ შეუძლიათ გადასჭრან საკითხი.

„მე ვიცი, სთქვა სმუტსმა, რომ მოლაპარაკება კონფერენციის მოწვევის შესახებ უკვე დაიწყო. არ არის არავითარი საბუთი ვიფიქროთ, რომ რომელიმე სახელმწიფო უარს იტყვის კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე, და რომელიმე სახელმწიფოს არ დასწრება ვერც შეუშლის ხელს დანარჩენების შეკრებას. **ამერიკის პრეზიდენტმა კულიჯმა ერთ-ერთ თავის სიტყვაში თავის თავზე მიიღო კონფერენციის მოწვევა.** ჩემთან საუბრის დროს ინგლისის და სხვა ქვეყნების ფინანსიურმა ავტორიტეტებმა აღიარეს, რომ თუ საკონტრიბუციო გადასახადების ჯამი დაწესებული იქნება ნორმალურ საკონტრიბუციო საკითხის გადაჭრა. თუ გერმანიას მიეცემა მორატორიუმი, ის შესძლებს ყოველწლიურათ დიდი საკონტრიბუციო თანხების გადახდას“.

შეეხო რა რურის კონფლიქტს, სმუტსმა განაცხადა, რომ ექსპერტების საერთო აზრით, **ოკუპაცია ცოტათი შემსუბუქებული უნდა იქნეს** და ყველა ბარიერები დაპყრობილ ოლქებსა და დანარჩენ გერმანიას შორის მოსპობილი უნდა იქნენ.

ამერიკის ყოფილმა ელჩმა მის საპატივსაცემლოდ გამართულ გამოსათხოვარ ბანკეტზე განაცხადა, რომ თავის დროზე **ამერიკას სურდა აღმოეჩინა დახმარება ევროპისათვის,** მაგრამ უკანასკნელი ამ დახმარებაზე უარს ამბობდა. ამერიკას არ სურს მოახვიოს თავზე თავისი დახმარება, მაგრამ **გერმანიის მიერ პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტა მოითხოვს სასწრაფო ზომების მიღებას ევროპის ეკონომიურად აღსადგენად, რომელიც ახლა კატასტროფას უახლოვდება.**

საკონტრიბუციო საკითხის განსახილველად კონფერენციის მოწვევის გარშემო.

ბერლინი. 26 ოქტომ. **„დეილი ტელეგრაფის“ ცნობით, სწარმოებს მოლაპარაკება საკონტრიბუციო საკითხის განსახილველად ახალ საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ,** ამასთანავე ინგლისი ფიქრობს ახალ კონფერენციას მუშაობის საფუძვლად დაუდვას სიუზის ფორმულა და გამოარკვიოს გერმანიის გადახდის უნარიანობა.

პარიზის პრესა თანახმაა ასეთი კონფერენციის მოწვევისა, ფიქრობს რა, რომ მასში მონაწილეობას მიიღებენ ყველა ის სახელმწიფოები, რომელთაც ხელი მოაწერეს ვერსალის ხელშეკრულებას. და რომ გარდა საკონტრიბუციო საკითხისა, კონფერენციამ უნდა განიხილოს საკითხი მოკავშირეთა ვალების შესახებ.

ბალდვინის სიტყვა

ლონდონი. 26 ოქტომბ. ინგლისის პრემიერმა ბალდვინმა გრძელი სიტყვა წარმოსთქვა პლიმუტში, და წარადგინა განმარტება ახალ კონფერენციის მოწვევის გარშემო გამართულ მოლაპარაკების შესახებ. მან განაცხადა, რომ კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებს ამერიკაც.

მიმართავს რა პირადათ პუანკარეს მოწოდებით არ ჩაშალოს დასახული კონფერენცია, ბალდვინი აცხადებს, რომ მოყოლილი საერთაშორისო კონფერენციიდან, რომელიც შესდგა წარსული წლის იანვრის ბონარლოუს მონაწილეობით ინგლისის მხრით,—ამ დრომდე, ინგლისის მთავრობა თავის საკონტრიბუციო პოლიტიკაში მთავარ პირობად ისახავდა მოკავშირეთა ვალების მომავალ გადახდის უზრუნველყოფას და გერმანიის მიერ მისი ვალდებულებათა შესრულებას. აუცილებლათ საპირო მოკავშირე სახელმწიფოთა თანხმოვან მოქმედებების გამომუშავება და უზრუნველყოფა და ამისკენ მიისწრაფოდა ყოველ ჟამს ინგლისის მთავრობა, რომელიც არ იზარებდა რაიმე მოლაპარაკებას და არ იღებდა მოკავშირეთა შორის არსებულ ხელშეკრულებების საწინააღმდეგო ზომებს. იმ კითხვაზე, რომელიც ხშირათ ისმება ხოლმე, სახელდობრ,—რატომ არ გადასდგა ინგლისის მთავრობამ არავითარი სეპარატიული ნაბიჯები მისი უკანასკნელ, 11 აგვისტოს ნოტის შემდეგ, ინგლისის მთავრობას შეუძლია სთქვას, რომ მას იმედი ჰქონდა, რომ გერმანია ახლო მომავალში შესწყვეტს პასიურ წინააღმდეგობას და რომ ამის შემდეგ ახალი შესაძლებლობა [illegible] საკითხის [illegible] მომავალში. გარდა ამისა ინგლისის მთავრობამ თავი შეიკავა გაბედულ ნაბიჯებისაგან, რადგან იმ დროს დაიწყო ინგლისის დომინიონების პრემიერთა ჩამოსვლა ინგლისში და მთავრობა ფიქრობდა, რომ ამ პრემიერებთან თათბირის გარეშე მთავრობას არ უნდა მიეღო რაიმე გადამწყვეტი ზომები. გარდა ამისა პრემიერს მხურვალე იმედი ჰქონდა, რომ შეთანხმება პუანკარესთან მოხერხდებოდა ორთავე პრემიერის პირადი შეხვედრის დროს.

შეეხო რა შემდეგ უკანასკნელ კვირებში შექმნილ მდგომარეობას, ბალდვინმა აღნიშნა ამერიკის პრეზიდენტის კულიჯის განცხადება იმის შესახებ, რომ ამერიკა თანახმაა მიიღოს მონაწილეობა საკონტრიბუციო საკითხის განხილვაში. ბალდვინმა განაცხადა, რომ ინგლისის თემთა პალატამ მიმართა სათანადო წერილით ამერიკის მთავრობას და მოკავშირე სახელმწიფოებს, რომელშიაც უკანასკნელებს წინადადება მისცა თავის მხრივ მოეწვიათ ამერიკა კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებათ, რადგანაც ამერიკამ აცნობა ინგლისის მთავრობას, რომ ის მიიღებს მონაწილეობა მომავალ კონფერენციაზე იმ შემთხვევაში თუ მას მიიწვევენ ყველა მოკავშირე სახელმწიფოები. ამერიკის მთავრობამ აცნობა ინგლისის მთავრობას აგრეთვე იმის შესახებ, რომ ის მზათ არის გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი გერმანიის გადახდის უნარიანობის შემმოწმებელ კომისიაში საკონტრიბუციო კომისიის ხელმძღვანელობით.

პრემიერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პუანკარესთან პირადათ შეხვედრის დროს, მან სთხოვა უკანასკნელს რათაც არ უნდა დაუჯდეს, არ სთქვას უარი განზრახულ კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე.

შეეხო რა გერმანიას, ბალდვინმა განაცხადა, რომ ის უნდა დაისაჯოს ომის წარმოებისათვის, მაგრამ ის ისეთ პირობებში უნდა ჩავაყენოთ რომ შესძლოს კონტრიბუციის გადახდა. [illegible] სტაბილიზაცია, მის ფინანსებზე კი დანიშნული უნდა იქნეს კონტროლი, რაც საკმაო გარანტია იქნება კონტრიბუციის გადახდისათვის. გერმანიის კონტრიბუციის თანხა სისწორით უნდა იქნეს გამორკვეული. დასასრულ ბალდვინმა განაცხადა, რომ მიღებული პასუხები, რომელნიც შეეხებიან განზრახულ კონფერენციაში მონაწილეობის მიღებას, არ არის დამაკმაყოფილებელი.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ს. ს. რ. კ სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ჩინეთში საპროტესტო ნოტა გაუგზავნა ჩინეთის მთავრობას სადგ. მანჯურიაზე მომხდარი ინციდენტის გამო.

ს. ს. რ. კ სავაჭრო წარმომადგენელი პოლონეთში ამხ. მიასკოვი მოლაპარაკებას აწარმოებს ლოძის ფაბრიკანტებთან რუსეთ-პოლონეთის მანუფაქტურული საზოგადოების ორგანიზაციის შესახებ.

ამერიკაში გაემგზავრა რუსეთის საფეიქრო სინდიკატის თავმჯდომარე ამხ. ნოგინი.

ს. ს. რ. კ. სრულუფლებიანი წარმომადგენელი იტალიაში მოლაპარაკებას აწარმოებს იტალიის მთავრობასთან საბჭოთა კავშირის მოქალაქეთათვის იტალიაში შესვლის გაადვილების შესახებ.

ამერიკა

საბჭოთა მთავრობა დაკმაყოფილებას სთხოვს ამერიკის ბანკს.

ნიუ-იორკი. 24 ოქტომბ. საბჭოთა მთავრობის იურისკონსულტმა ამერიკის „ნაციონალ-სიტი ბანკს“ მოსთხოვა ანგარიში იმ მილიონ დოლარის დახარჯვაში, რომელიც გადაცემული იყო საბჭოთა მთავრობის მიერ ვილ ამ ჩაპინისათვის კინემატოგრაფიულ ფილმების შესაძენათ ამერიკაში; ბანკმა, რომელსაც არ ჰქონდა სათანადო რწმუნებები ამისათვის, მისცა 800,000 დოლარი ვინმე სიბარის, რომელმაც გაგზავნა რუსეთში უვარგისი მასალა.

ირლანდია

დიდი შიმშილობა.

ლონდონი. 24 ოქტ **ირლანდიის კონცენტრაციულ ბანაკებში 8.000 დატუსაღებულმა რესპუბლიკანელებმა გამოაცხადეს შიმშილობა, რაც ყველაზე უფრო დიდი შიმშილობაა ისტორიაში.**

სპარსეთი

ახალი მთავრობა.

თეგერანი. 24 ოქტომბერი. ახალი კოალიციონურ მთავრობის კანდიდატებათ ასახელებენ: სოც.-დემოკრატებიდან — სულეიმან-მირზას და ტაბა ტაბანს, რადიკალებიდან—ადლომოლკს და დავერს, დამოუკიდებელ დემოკრატებიდან—ცედახონს, სამხედრო პარტიიდან—ხუდოიარხანს და ეხტეხამონ—სულთანს.

ამერიკელების კონცესიები სპარსეთში.

თეგერანი. 24 ოქტომბერი. „კამპანია სინკლერის“ წინადადება ჩრდილოეთის ნავთის კონცესიების შესახებ გადაეცა დასკვნისათვის ამერიკელ მრჩეველებს სპარსეთის მთავრობასთან, რომელნიც მხარს უჭერენ კონცესიების „კამპანია სტანდარტ ოილისათვის“ მიცემას.

სხვადასხვა

ჩეხო-სლოვაკია

სამხედრო კონვენციის დადებას მალავენ.

პარიზი. 23 ოქტომბერი. ლონდონის წარმომადგენლებთან საუბრის დროს, ჩეხო-სლოვაკიის პრეზიდენტმა მასსარიკმა უარჰყო ხმები, ვითომც საფრანგეთსა და ჩეხო სლოვაკიას შორის სამხედრო კონვენცია იყოს დადებული. „პტი პარიზიენ“-ის ცნობით, **ჩეხო-სლოვაკიის გენერალური შტაბის უფროსად დაინიშნება საფრანგეთის გენერალი.**

იტალია.

იტალიელ კომუნისტების პროცესი

რომი. 24 ოქტომბერი. ბოდრიგის და სხვა კომუნისტების პროცესზე ბრალდების მოწმეებმა,—პოლიციის მოხელეებმა აღნიშნეს, რომ ბოდრიგი მჭიდრო დამოკიდებულებაში იყო საბჭოთა მთავრობას[illegible] პროკურორმა თავის საბრალმდებლო სიტყვაში განაცხადა, რომ იგი უარყოფს იტალიის კომპარტიის საქმეებში ს. ს. რ. კავშირის მთავრობის წევრთა მონაწილეობის შესაძლებლობას, რადგან ის სრულიად დარწმუნებულია ბოდრიგის ჩვენების სიმართლეში იტალიის კომპარტიისა და საბჭოთა მთავრობის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ.

ნორვეგია

სახლმშენებლო მუშები კომპარტიას ემხრობიან.

ქრისტიანია. 24 ოქტ. სახლმშენებლო მუშათა დამფუძნებელ ყრილობაზე ერთხმად იყო მიღებული წინადადება კომპარტიის წარმომადგენელთა მოწვევის შესახებ ყრილობის მუშაობაში მონაწილეობისათვის; სოციალ-დემოკრატების მოწვევის წინადადება კი უარყოფილია ხმათა უმრავლესობით თვრამეტი ხმის წინააღმდეგ.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

500 ახალი ტრაქტორი.

მოსკოვი. 26 ოქტომ ლითონის მრეწველობის მთავარი სამმართველო შეუდგა 500 ახალი ტრაქტორის დამზადებას, „ზაპოროჟეც“-ის სისტემისა, რომელიც პეროვსკის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში უკანასკნელი გამოცდის დროს ყველაზე საუკეთესო აღმოჩნდა.

საბეითლო კოდექსის პროექტი.

მოსკოვი. 26 ოქტომბერი. რუსეთის სოც. ფედერატიულ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მესამე სესიაში შეაქვს საბეითლო კოდექსის პროექტი.

პურის ექსპორტის სამმართველო.

მოსკოვი. 26 ოქტომბერი 22 ოქტომბრამდე პურის ექსპორტის სამმართველომ საზღვარ გარეთ გაჰყიდა 39 მილიონი ფუთი პური. აქედან 14 მილიონი ფუთი უკვე გაგზავნილია.

ლოზუნგები ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავისათვის

მოსკოვი. 25 ოქტ. რუსეთის კომუნისტურ პარტიის ყველა ორგანიზაციებს.

„6 წლის წინათ ჩვენ ჩამოვაგდეთ მემამულეები და კაპიტალისტები.

გაუმარჯოს მუშებისა და გლეხების განთავისუფლების 6 წლის თავს!

6 წლის წინათ ჩვენ დავამყარეთ მუშებისა და გლეხების ხელისუფლება.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლების 6 წლის თავს!

6 წლის წინათ ჩვენ დავამსხვრიეთ ეროვნული ჩაგვრის ბორკილები.

გაუმარჯოს ერების განთავისუფლების 6 წლის თავს!

დასავლეთის კაპიტალისტები ომით ემუქრებიან ევროპას. ყველა ქვეყნების მშრომელები სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევენ მათ.

მუშებო და გლეხებო! ბრძოლისაკენ მშვიდობიანობის მოსაპოებლათ, აღსდექით კაპიტალისტების ხრიკების წინააღმდეგ!

მშვიდობიანობის დამრღვევთ—შეუპოვარი წინააღმდეგობა!

მუშათა დიქტატურა—ერთადერთი ხსნაა ევროპის.

მემამულეებისა და კაპიტალისტების კავშირის წინააღმდეგ—მუშებისა და გლეხების დიადი კავშირი.

მუშათა გერმანია და ჩვენი მუშურ-გლეხური კავშირი—მშვიდობიანობისა და შრომის საფუძველია.

გერმანიის ორთქლის ჩაქუჩი და საბჭოთა პური დაამარცხებენ მთელს ქვეყანას.

გზა ჩვენ გლეხურ პურს, რომელიც უნდა გადაიცვალოს გერმანიის მანქანაზე!

გერმანიის რევოლიუციის დამარცხება მიგვიყვანს იქამდის, რომ მეფის ვალები აღებული იქნება ჩვენი გლეხის ჯიბიდან. გაუმარჯოს გერმანიის რევოლიუციას!

თეთრი გერმანიის კავშირს მეფის გენერლებთან მოაქვს სიკვდილი თავისუფალი გლეხისათვის და ხუნდები მუშისათვის.

გერმანიის გაძარცვის შემდეგ დაიწყებენ ჩვენი შრომის კავშირის ძარცვას.

იყავით მზად! სიკვდილი ფაშისტურ ჯალათებს, თეთრ გენერლებს და მეფის ლაქიებს!

ჩვენი რესპუბლიკის ძმური კავშირი საიმედო დასაყრდენია კაპიტალისტურ მტაცებლების წინააღმდეგ.

მუშათა და გლეხთა კავშირი—საძირკველია ჩვენი გამარჯვების.

ჩვენი სიძლიერე ჩვენს მეურნეობაშია—გააუმჯობესეთ ის დაუღალავათ!

თუ გსურს ზავი—აუმჯობესე მეურნეობა, დაეხმარე გლეხს, მოეპყარი მზრუნველობით და სიყვარულით ჩვენს წითელ არმიას და წითელ ფლოტს.

გაუმარჯოს წითელ დირექტორებს და წითელ აგრონომებს—ჩვენი სახალხო მეურნეობის იმედს!

გზა მიეცით ჩვენ მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას,—მას მოაქვს ბრწყინვალე მომავალი ჩვენი ქვეყნისათვის.

წითელი არმია და წითელი ფლოტი—ჩვენი ხმალია და ფარია. დააჩქარეთ მათვის დახმარების გაწევა!

შემოკრბით რ. კომუნისტური პარტიის—ოქტომბრის რევოლიუციის ხელმძღვანელის, დენიკინის, კოლჩაკის, ვრანგელის და იუდენიჩის დამარცხების ორგანიზატორის გარშემო!

[illegible] კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ“!

„ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავი და გერმანიის რევოლიუცია“

„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი. 25 ოქტომბერი. გაზ. „პრავდა“ სწერს: „ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავს ჩვენ ვდღესასწაულობთ სწორედ იმ დროს, როდესაც გერმანიაში იწყება სამოქალაქო ომი, სადაც ხიშტი, ვინტოვკა და ტყვიისმფრქვეველი დღის წესრიგშია დაყენებული ისტორიის მიერ. მენშევიკებისა და ესერებისათვის ძვირფასი „დემოკრატიული რესპუბლიკა“ სცვლის: თავისუფლება—თანასწორობა—ძმობა-ერთობის ლოზუნგს „არტილერია, ინფანტერია და კავალერიის“ ლოზუნგად.

ოქტომბრის რევოლიუციის მე 6-ე წლის თავი არის ოქტომბრის დღეების დასაწყისი დასავლეთ ევროპის ცენტრში. ამ დღესასწაულს თან დაერთვის გერმანიის პროლეტარიატის ბრძოლის ყიჟინა. ამიტომ ჩვენი ოქტომბრის ზეიმის საერთაშორისო მნიშვნელობა უნდა იქნას ხაზგასმული ისე, როგორც არასოდეს. ჩვენი პარტია მიდიოდა რა ოქტომბრის რევოლიუციის ბარიკადებზე, თავის თავს სთვლიდა საერთაშორისო რევოლიუციის დ მწყებად. მისი პროგნოზი სავსებით სწორი აღმოჩნდა ჩვენი რევოლიუციის 6 ე წლის თავზე დასავლეთ-ევროპის პროლეტარიატის რიგები იერიშებზე გადადიან.

ეს დღეები ჩვენი ქვეყნის წინაშე უდიდეს ამოცანებს აყენებენ. ევროპა, მთელი მსოფლიო და ჩვენი კავშირი ჩათრეული იქნებიან ამ ამბების ორომ-ტრიალში. ჩვენ უნდა ვეცადოთ შევინარჩუნოთ მშვიდობიანობა, მაგრამ მზად უნდა ვიყოთ ომის შესახვედრათ. ამიტომ ჩვენ 10 ჯერ უნდა განვამტკიცოთ ის საძირკველი, რომელზედაც ეყრდნობა საბჭოთა ქვეყანა—მუშათა და გლეხთა კავშირი.

ოქტომბრის რევოლიუციის დღე უნდა იყოს მჭიდრო კავშირის მუშურ-გლეხური ბლოკის დღესასწაული, ისეთი ბლოკის, რომელიც მრისხანე ძალას წარმოადგენს მემამულეთა და კაპიტალისტების ბლოკის წინააღმდეგ.

მთელი ქვეყანა [illegible]. ჩვენ კი ვერთიანდებით ასეულ ეროვნებათა კავშირში. ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირიც აგრეთვე იდღესასწაულებს თავის იუბილეს, ვინაიდან იგი წარმოიშვა ოქტომბრის დღეებში.

არა მხიარულ ზეიმზე გავალთ ჩვენ წელს, ოქტომბრის დღესასწაულის დღეებში. ეს დღე იქნება ჩვენი ძალების დათვალიერება, დაე დაინახონ ჩვენმა მტრებმა, რომ ჩვენი ტყვიაწამალი კი არ დანესტიანებულა, არამედ გაშრა. მუშათა და გლეხთა მასები მედგრად დგანან თავიანთ ინტერესების სადარაჯოზე და მზად არიან ღირსეული პასუხი გასცენ ყველა იმათ, ვინც სცდილობს დაარღვიოს მშვიდობიანი შრომა“.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

დაშნაკელთა თვითლიკვიდაცია.

ბაქო. 24 ოქტომბერი. ამ დღეებში მოხდა ბაქოსი და მისი რაიონების ყოფილ დაშნაკელთა კრება, რომელმაც დაადგინა: ბაქოში ფაქტიურად გაუქმებული დაშნაკელთა პარტია ოფიციალურადაც ჩაითვალოს გაუქმებულად. აირჩიეს ცენტრალური სალიკვიდაციო ბიურო და მოწვეულ იქნას აზერბეიჯანის დაშნაკელთა სალიკვიდაციო კონფერენცია.

ნავთის ნაწარმოებთა გაზიდვა.

ბაქო 24 ოქტომბერი. 21—22 ოქტომბერს გაზიდულია ნავთის ნაწარმოებნი: ბაქოდან ასტრახანში 1,676,531 ფ. შავი ნავთი და 97,002 ფ. ნავთი; რაკუშიდან ასტრახანში—221,000 ფ. შავი ნავთი.

ნავთის ფრონტზე.

ბაქო 24 ოქტომბერი. 16—19 ოქტომბერს ბაქოს ყველა ნავთის სამრეწველოებში ამოღებულია 2 მილ. 518,000 ფ. ნავთი. დაწმენდილია 135,000 ფუთი. ბურღვაზე მუშაობდა საშუალოდ 176 დაზგა. ჩაბურღულია 296 საჟენი.

ეკლესია—კლუბათ.

ბაქო. 24 ოქტ. ჯებრაილის მაზრის სოფ. გირძერის მრავალ რიცხოვან უპარტიო მიტინგზე, გლეხებმა დაადგინეს გადააკეთონ ეკლესიის შენობა კლუბათ.

სომხეთი.

დაშნაკელთა თვითლიკვიდაცია

გუმბრი. 24 ოქტომბერი. **შესდგა ყოფილ დაშნაკელთა ქვე-ბიურო, რომელიც მაზრაში მუშაობს დაშნაკციუტუნის თვითლიკვიდაციის მოსახდენად.**

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

ერევანი. 24 ოქტ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემოსავლიდან 100,000 ფუთი გადაიდება სასოფლო-სამეურნეო ბანკის განკარგულებაში სათესლე მასალად.

სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა წინადადება მისცა არავითარ შემთხვევაში არ გაჰყიდონ გადასახადის ნატურალური ნაწილი.

დავეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს

გერმანიის პროლეტარიატის დამხმარე ცენტრალურ კომისიისაგან

ყველა პარტიულმა, საბჭოთა, პროფესიონალურმა და სხვა ორგანიზაციებმა მომავალშიაც უნდა ენერგიულად გააძლიერონ კამპანია გერმანიის პროლეტარიატის დახმარებისა, მაგრამ ხსენებულმა ორგანიზაციებმა მთელი შეგროვილი ფული დაუყოვნებლივ (არა უგვიანეს ა. წ. 3 ნოემბრისა) უნდა გადაგზავნონ გერმანიის პროლეტარიატის დამხმარე ცენტრალურ კომისიას, გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციაში ამხ. გოგიტიშვილის სახელობაზე.

გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციას

ამასთანავე ერთად გიგზავნებათ ტფილისის სამთო-მადნო კავშირის მთლიანი ადგილკომის მიერ გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ შეგროვილი შემოწირულებანი:

1. საზოგადოება „ჩემო“-ს მოსამსახურეებისგან—9 გირ. სტერლინგი, 8 ოსმალური ქაღალდის ლირა და 36 მილიონი მანეთი ამიერ-კავკასიის ბონებით;
2. აზნავთის მოსამსახურეებისგან—346 მილიონი მანეთი ამიერ-კავკასიის ბონებით;
3. შავი-ქვის მრეწველთა საგანგებო სამმართველოს მოსამსახურეებისგან—2 ნახევარი ოსმალური ქაღალდის ლირა და 87 მილიონი მანეთი ამიერ-კავკ. ბონებით;
4. სამთო განყოფილების მოსამსახურეებისგან - 56 მილიონი მ. ამიერ-კავკასიის ბონებით.

სულ გიგზავნებათ 9 გირვანქა სტერლინგი, 10—1 | 2 ოსმალური ქაღალდის ლირა და 525,000,000 მანეთი ამიერ-კავკასიის ბონებით. ვიწვევთ სხვა ადგილკომებს არ ჩამოგვრჩენ პროლეტარიატის სასარგებლოდ წვლილის გაღებაში.

სამთომადნო კავშირის ადგილკომი.

პასუხად ამხ. მ. ბედიას გამოძახებისა შემომაქვს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ ერთი ჩერვონეცი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ივანე ფირცხალავას, ფ. სპრინკვილს, სპეკტორს (ფოთის მეზღვაურთა კავშირი), ფოთის ნავთსადგურის უფროსს ვ. ქორქოლიანს, ამიერ-კავკასიის ნავთსადგურების უფროსს ატაევს და ფოთის პოლიტ-ბიუროს უფროსს ამხ. მიმინოშვილს.

ამხანაგების საყურადღებოდ ვაცხადებ, რომ აღნიშნულ თანხაზე მეტის შემოტანა არ არის აკრძალული, ნაკლების კი.

პროკოპი მეგრელიშვილი.

შემომაქვს გერმანიის პროლეტარიატის დასახმარებლათ ჩემი წვლილი, ასი მილიონი მანეთი და ვიწვევ შემდეგ მოქალაქეებს: წარმოკავშირიდან: ელიზბარ კარბელიშვილს, ბიკენტი მხეიძეს, ლუკა ბრეგვაძეს, გური კანდელაკს, მიხო დედაბრიშვილს, ნიკოლოზ ნაჭყებიას და „მწყემსი“-დან ინ. აგ. ბაძოშვილს

იმედი მაქვს, რომ ჩემ მიერ გამოწვეული ამხანაგები ჩემზედ მეტსაც შემოიტანენ გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ.

დადო ლეჟავა.

ამხ. პიმენ დვალის გამოწვევაზე შემომაქვს რა გერმანიის პროლეტარიატის დასახმარებლად 72.500.000 მანეთი, ჩემის მხრივ ვიწვევ ტყავის განყოფილებათა მდივნებს.

ნინო ხანოიანი.

ამხ. პ. დვალის გამოწვევით შემომაქვს ბონებით ერთი ჩერვონეცი, ღირებულება 72.500 000 მან. და ჩემის მხრივ ვიწვევ სასამართლო და საგანგებო კომისიების გამომძიებლებს.

ვალერიან გოგიბერიძე.

ამხ. არტემ ნადარეიშვილის გამოწვევის საპასუხოდ შემომაქვს 70 000.000 მანეთი გერმანიის პროლეტარიატის დახმარების ფონდში და ჩემის მხრივ ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: კაპიტო კალანდაძეს (ტფილისი), მიშა ჩირლიძერადს (ქუთაისი), პეტრე მიქაძეს (ლანჩხუთი), პოლია ტყაბლაძეს (ქუთაისი), ვალოდია ცაგარელს (ტფილისი), დომენიკო გაჩაკიძეს (სოხუმი) და შალვა ჩხეიძეს (ქუთაისი).

სერგო ზერაძე

ამხ. მიქელაძის გამოწვევაზე შემომაქვს რვა მილიონი მანეთი გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ და ჩემის მხრივ ვიწვევ მოსე ვარამაშვილს (სიღნაღიდან).

ნინა ჩიტიშვილი

შემოვიდა 26 ოქტომბერს:

1. პ. მეგრელიშვილისაგან 1 ჩერვონეცი, 2. საზოგადოება „ჩემო“-ს მოსამსახურეებისაგან 9 გირ. ინგ. სტერლინგი, 8 ოსმალური ქალ. ლირა და 36 მილ. მან., 3. შავი ქვის მრეწველთა საგანგებო-სამრეწველო სამმართველოს მოსამსახურეებისაგან 2 ნახ. ოსმალური ქალ. ლირა და 87 მილ. მან., 4. აზნავთის მოსამსახურეებისაგან 346 მილ. მან., 5. ლ. ლეჟავა 100 მილიონი მან., 6. ნ. ხანოიანი 72 500.000 მან, 7. ვ. გოგიბერიძე 72.500.000 მან. 8. ს. ზერაძე 70 მილ. მან., 9. საქ. სამთო მადნო კავშირის მოსამსახურეებისაგან 56 მილ. მან, 10. ნ. ჩიტოშვილი 8 მილ. მან.

სულ 1 ჩერვონეცი, 9 გირ. ინგ. სტერლინგი, 10 ნახ. ოსმალური ქალ. ლირა და 848 მილ. მან.

წინეთ შემოსულით: 266 ჩერვონეცი, 9 ნახ. გირ. ინგ. სტერლინგი, 21 ნახ. ოსმალური ქალ. ლირა, 1 ოქროს ჯვარი, 7 ოქროს ბეჭედი, 2 ოქროს სამაჯური, 1 ოქროს საგული, 1 ვერცხლის ჩაის კოვზი, 15 ვერცხლის მანეთი, 2 ვერცხლის პორტსიგარი და 5,627,232,000 მანეთი.

დაშნაკციუტუნის ლიკვიდაცი

ერევანი. 25 ოქტომბერი. 24 ოქტომბერს შესდგა ერევანის ყოფილ დაშნაკელების კრება. მოსმენილ იქნა მოხსენებები საინიციატივო ბიუროს მუშაობის და დაშნაკციუტუნის დაშლის შესახებ როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, საინიციატივო ბიუროს მუშაობა სწარმოებს სომხეთის ყველა ნაწილებში. უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში პარტიიდან გავიდა დეკლარაციებით 2,000 კაცი. ყრილობა ერევანში მოწვეული იქნება 26 ოქტომბერს.

ვაგარშაპატი. 25 ოქტ. ვაგარშაპატში შესდგა ყოფილ დაშნაკელების კრება. არჩეულია საინიციატივო ბიურო, რომელსაც ევალება ყოფ. დაშნაკელების სამაზრო ყრილობის მოწვევა 4 ნოემბრისათვის.

ნორბაიაზეტი. 25 ოქტ. და[illegible] ყოფ. დაშნაკელების სამაზრო კონფერენცია. დაესწრო 64 დელეგატი. ყრილობამ ერთსულოვნათ გმ[illegible] დაშნაკური პარტიის აღმაშფოთ[illegible]ლი მუშაობა და გადასწყვიტა [illegible] ადგეს საბჭოთა ხელისუფლ[illegible] პლატფორმაზე, გამოიჩინა რა [illegible]დამი სიმპატიები არა მარტო [illegible]ყვით, არამედ აგრთვე საქმით [illegible]ლიად-სომხეთის ყრილობისათვის [illegible]ჩეულია 16 დელეგატი. გა[illegible] მისასალმებელი დეპეშა ს[illegible] კომპარტიის ცეკას.

პარტიული ცხოვრება

დახმარება გერმანიის პროლეტარიატს

პარასკევს, 19 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე შესდგა მე-10 კომისარიატის კომუჯრედის სხდომა უპარტიო ამხანაგების თანადასწრებით. დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები:

1) მოხსენება გერმანიის მუშათა მდგომარეობის შესახებ. 2) მოხსენება სატარიფო პოლიტიკის შესახებ, 3) მიმდინარე კითხვები.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ღლონტი, რომელიც ახასიათებს გერმანიის მდგომარეობას და ამბობს, რომ გერმანიის მშრომელი ხალხი გახვეულია ცეცხლის ალში და განიცდის საშინელ ექსპლოატაციას გერმანიის ბურჟუაზიის და სოციალ გამყიდველებისაგან, მაგრამ დადგა გერმანიის პროლეტარიატის განთავისუფლების დრო და მთელი ქვეყნის მშრომელებმა ხელი უნდა შეუწყონ სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვებას ევროპის ცენ[illegible]ში--გერმანიაში. მომხსენებელი გა[illegible]თქვამს რწმენას, რომ საბჭოთა ქართველი მშრომელი ხალ[illegible] ფერს დაიშურებს გერმანიის პროლეტარიატის გამარჯვებისთვის.

ღლონტის შემდეგ ლაპა[illegible] ამხ. გაბუნია, რომელიც მოუწ[illegible] კრებას გაიღონ თავიანთი წ[illegible] გერმანიის მუშების სასარგებ[illegible] იქვე შეგროვილი იქნა შემოწირუ[illegible] შემდეგი ამხანაგებიდან: ამხ. [illegible]ტმა 1 გირ. სტერლ. ძიძიგუ[illegible] მილ. მან., გაბუნიამ—15 მილ[illegible] ა. ბერიძემ—15 მილ. მან., [illegible] ამ—15 მილ. მან, ი. ქაგუ[illegible] მილ. მან, ა. აბასოვმა—15 [illegible] მან., შ. დოგუზოვმა—10 მილ[illegible] ი. კორაშილემა—25 მილ. მ[illegible] ნაზაროვმა (უმუშევარმა)—1[illegible] ბიტიუხანმა—10 მილ. მან., ა. [illegible] სტოვმა—10 მილ. მ., ი. მე[illegible]

შვილმა—10 მილ. მ, ნ. კობულაშვილი—1 თათრული ქაღ. ლირა პ. ბერიძე—10 მილ. მან., ო. მიტოიანცმა—10 მილ. მან, გაპამაჯიანმა—10 მილ. მან., შ. გაგუამ—3 მილ. მან., ა. ცქიტიშვილმა—10 მილ. მან, ინოლიშვილმა—5 მილ. მან., ა. ბალასანოვა—5 მილ. მან, მარუტოვმა—5 მილ. მან., ხელაძემ—5 მილ. მან, ს. მანუკოვმა—5 მილ. მან., კვესაძემ—5 მილ. მან., ზ. მანუკიანმა—5 მილ. მან., მ. მუხრანსკიმ—5 მილ. მან. და ა. კარაპეტიანმა—2 მილ. მან, მე-10 კომისარიატის კომუჯრედმა მოაგროვა რა—271 მილ. მან. 1 გირ. სტერლ. და 1 თათრის ქაღალდის ლირა—იწვევს მილიციის ყველა უჯრედებს მიჰბაძონ მის მაგალითს. მეორე საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ლლონტმა, რომელმაც ვრცლად დაუსურათა კრებას სატარიფო პოლიტიკის მსვლელობა, როგორც სამხედრო კომუნიზმის ეპოქაში, აგრეთვე ახალი ეკონომიური პოლიტიკის ხანაშიც. მომხსენებელმა აუხსნა კრებას კოლექტიური ხელშეკრულების მნიშვნელობა და მისი დადებითი მხარეები. აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ყოველთვის იცავდა და დღესაც იცავს მუშა-მოსამსახურეების ინტერესებს და სცდილობს, რაც შეიძლება გაადიდოს მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი.

მოხსენების შემდეგ შემოვიდა მრავალი შეკითხვები, რომელზედაც მომხსენებელი აძლევს დამაკმაყოფილებელ პასუხს, რის შემდეგ კრება იხურება.

ქ. ორმეთელი.

ქ. სამტრედია

კვირას, 7 ოქტომბერს, ქალაქის კლუბის დარბაზში მოხდა კომუნისტური პარტიის სამტრედიის რაიონის მე-IV კონფერენცია. პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ამხ. პს. კიკაჩეიშვილი, ილ. სტურუა და ძნელაძე.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე, 2) მოხსენება სამტრედიის რაიპარტკომის მუშაობაზე, 3) რაიონული კომიტეტის არჩევნები, 4) სამაზრო პარტკონფერენციის დელეგატების არჩევნები.

საერთაშორისო მდგომარეობაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. აქვპავამ, რომელიც შეჩერდა გერმანიაში წარმოშობილ სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაზე შრომისა და კაპიტალს შორის. საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა მოვალეობაა ამ ბრძოლაში აქტიური დახმარება გაუწიონ გერმანიის პროლეტარიატს როგორც ეკონომიური, ისე მორალური, რადგანაც გერმანიის ამბებზეა დამოკიდებული ჩვენი რესპუბლიკების მომავალი ბედი. მოხსენების გარშემო შემოვიდა შეკითხვები, რომლებზედაც ამომწურავი პასუხი გასცა მომხსენებელმა.

პარტკომის მუშაობაზე მოხსენება გააკეთა პარტკომის მდივანმა ამხ. ილ. სტურუამ, რომელმაც აღნიშნა ის მუშაობა, რომელიც მათ უწარმოებიათ რვა თვის განმავლობაში, როგორც პარტიულ, ისე საბჭოთა აღმშენებლობაში. მოხსენების ირგვლივ—გაიხსნა კამათი; მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომლითაც პარტკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლათ იქნა აღიარებული...

ამის შემდეგ აირჩიეს ახალი რაიკომიტეტი: 9 წევრისა და ორი კანდიდატის შემადგენლობით. აგრეთვე აირჩიეს სამაზრო კონფერენციის დელეგატებიც. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სამტრედიის მეოთხე პარტკონფერენცია არ ჰგავდა წინანდელებს და მისი მუშაობა უფრო საქმიანი ხასიათის იყო. უსურვოთ ახალ კომიტეტს ნაყოფიერ მუშაობას.

ხან-კანი

ქალთა განყოფილებების გამგეთა მე-3 ყრილობა

თათბირი მოიწვია ს. კ. პ. ც. კ—ის ქალთა განყოფილებამ იმ მიზნით, რომ გადაეთვალიერებია და ჯამი გაეკეთებია წარსულ 8 თვის მუშაობისათვის ქალ. განყოფილების გამგეებთან ერთად, შეემოწმებია ამ გეგმის სისწორე, ესარგებლებია მისი გამოცდილებით და შეედგინა ახალი, მეტად კონკრეტული გეგმა მომავალი მუშაობისათვის.

4 დღის განმავლობაში თათბირმა მოისმინა: 1) მოხსენებები ადგილებიდან, 2) ც. კ ქალ. განყოფ. მოხსენება, 3) მოხსენება მორიგი ამოცანების შესახებ, 4) კოოპერაციის შესახებ, 5) ურთიერთ დახმარების კომიტეტების შესახებ, 6) დედათა და ბავშვთა დაცვის შესახებ, 7) ნაციონალურ საკითხში; მოსმენილ იქნა აგრეთვე საერთო საქალაქო სადელეგატო კრებასთან ერთად მოხსენება „საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ", მუსულმანთა კლუბში მუსულმან ქალებთან ერთად მოსმენილ იქნა მოხსენება სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესახებ და სხვა.

მოხსენების შემდეგ გამოტანილ იქნა სათანადო რეზოლიუციები და დამტკიცებულ იქნა აგრეთვე უახლოეს სამი თვის მუშაობის გეგმა როგორც ც. კ. ქალთა განყოფილებისათვის, ისე მაზრკომების ქალ. განყოფილებებისათვის.

თათბირის სახელით გაეგზავნა დეპეშა გერმანიის პროლეტარიატს სრული სოლიდარობის გრძნობის გამოხატვით მათ რევოლიუციურ ბრძოლაში.

თათბირს დაესწრო 19 ქალ. განყ. გამგენი; არ ყოფილა აფხაზეთის ქალ. განყ. გამგე ვინაიდან ცნობა გვიან მიიღო, დასავლეთის მაზ. ქალ. განყ. გამგე—ამ მაზრის გეოგრაფიული მდებარეობისგამო.

მოხსენებები ადგილებიდან.

საორგანიზაციო დარგში. თათბირმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ზაფხულის თვეებში მუშაობა ჩატარებულ იქნა განსაზღვრული გეგმის მიხედვით დამიტომ იგი მეტად ნაყოფიერი გამოდგა. ც. კ. ქალ. განყ მიერ შემუშავებულ გეგმის მიხედვით ადგილებზედაც იქნა შემუშავებული სათანადო გეგმები და კიდეც გატარდა ცხოვრებაში. თათბირმა აღნიშნა აგრეთვე პარტკომების ხელმძღვანელობის გაძლიერება ქალ. განყოფილების მუშაობაში. ქალ. განყოფ. კოლეგიები დაარსებულია ყველგან გარდა სიღნაღისა, სადაც ქალ. განყ. გამგედ დაინიშნა დაგვიანებით. კავშირი სხვა ორგანოებთან მოწესრიგებულია, გარდა კოოპერაციისა. ქალ. ორგანიზატორები ყველა მაზრებშია გამოყოფილი.

ქალ ორგანიზატორების რიცხვი უდრის სულ 260, მათ-შორის 111 კომუნისტი ქალია, 70 კაცი. ქალთა ორგანიზატორებისათვის სათანადო ინსტრუქციების მისაწოდებლად ადგილებზე იმართებოდა მათი სისტემატიური თათბირები, რომელთა რიცხვი ზაფხულში უდრიდა 38. ინტელიგენტ ქალ. ჩაბმა მუშაობაში განვითარდამითი რიცხვი ქალ. ტფილისში უდრის 96. სადელეგატო კრებების ინსტიტუტი დაარსებულია ყველა მაზრებში. ზოგიერთ მაზრებში სარაიონო სადელეგატო კრებებიც იმართება. სასოფლო-სადელეგატო კრებები იმართება მარტო ტფილისის მაზრაში დელეგატ ქალთა რიცხვი საქართველოში უდრის 1,318, რომელთაგან 50 მუშა ქალებია, 279 ინტელიგენტი, დანარჩენი გლეხი ქალები.

3 მაზრაში მესამეთ მოწვეულ კრებებისათვის არჩეული დელეგატი ქალები, 4 მაზრაში მეორესი და დანარჩენ პირველის. ქალ. განყ. გარშემო თავმოყრილ ქალთა რიცხვი უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში 10,000-დან გაიზარდა 13,000-მდე.

მუშაობაში ჩაბმულია პირველ რიგში მუშა ქალები და შემდეგ გლეხი ქალები. მუშაობა სწარმოებს აგრეთვე მუშათა ცოლებს შორის (სარაიონო მუშათა კლუბების საშუალებით), წითელარმიელთა ცოლებში და ტრანსპორტელ ქალებში, რისთვისაც ქალთა განყ. ადგილებზე თავის მუშაობას უთანხმებენ საგზაო პროფკავშირებს.

საბჭოთა მშენებლობის დარგში. საბჭოებში არჩეულია მთელ საქართველოში სულ 213 ქალი, ადგილკომებში და ფაბრკომებში—169, კოოპერაციაში—7. მუშაობა ნაც. უმცირესობათა შორის სწარმოებს ტფილისში, სადაც მოწყობილია მუსულმანთა კლუბი. დაწყებულია მუშაობა ბორჩალოს მაზრაში გერმანელ ქალებში და აგრეთვე ბერძენ ქალთა-შორის აჭარაში, სადაც მუშაობა სწარმოებს კლუბის საშუალებით. მუშაობას მოზარდ ქალებში ქალ. განყოფ. აწარმოებენ კომკავშირის საშუალებით

ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების დარგში. ამ ხასიათის მუშაობა სწარმოებს უმთავრესად სამი მიმართულებით: 1) ბრძოლა უმუშევრობასთან, 2) დედათა და ბავშვთა დაცვა, 3) უფლებრივი დაცვა.

ქალთა უმუშევრობას უფრო მეტი ადგილი აქვს ტფილისში. ქალ. განყ. აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ შტატების შემმოკლებელ კომისიის მუშაობაში, აგზავნიან სამუშაოზე შრომის ბირჟის საშუალებით და აარსებენ არტელებს უმუშევარ ქალთაგან. საქართველოში დაარსებულია სულ 22 არტელი, უმთავრესად ჭრა-კერვისა და ქსოვისა დაარსებულია აგრეთვე ჭრა-კერვის სკოლები. მოწყობილი იყო ქ. ტფილისში სანიტარ ქალთა კურსები 40 კაცისათვის, რომელნიც გათავების შემდეგ დანიშნულ იქნენ კურორტებზე, მოწყალების დათა კურსები 40 კაცისათვის, საბიბლიოთეკო კურსები 10 კაცისათვის. დედათა და ბავშვთა დაცვის საქმეში ჩატარებულია კამპანია ქ. ტფილისში, სამხრეთ ოსეთში, ზუგდიდის მაზრაში; დანარჩენ მაზრებში კი თანახმად ც. კ. ქალ. განყ. ცირკულიარისა კამპანიის ჩატარება შეჩერებულ იქნა.

აჭარაში არ არსებობს დედათა და ბავშვთა დაცვის განყოფილება და ეს გარემოება დიდ უარყოფით გავლენას ახდენს ქალ. განყ. მუშაობაზე; დანარჩენ მაზრებში კი თუმცა არსებობს კავშირი ჯანმრთელობის განყოფილებასთან, მაგრამ საშუალებათა უქონლობა ხელს უშლის მუშაობის განვითარებას ამ დარგში. ბაგათა (ясли) რიცხვი მთელ საქართველოში უდრის 4, საბავშვო სახლები 31, საბავშვო ბაღები 27; არსებობს აგრეთვე უბინაო და უპატრონო ქალთა 2 სახლი—ერთი ქ. ტფილისში და მეორე ქუთაისში—გლეხ ქალთა სახლი, ქალთა უფლებების დასაცავად ქალ. განყოფილებებს კავშირი აქვთ სახალხო სასამართლოებთან.

სააგიტ-საპროპ. მუშაობა. ყველა მაზრებში ტარდება სადელეგატო კრებები. სამეცადინო პროგრამა დელეგატ ქალებთან მაზრების უმეტესობაში დამთავრებულია. უკანასკნელი 8 თვის განმავლობაში მთელ საქართველოში ჩატარდა 121 სადელეგატო კრება და 508 საერთო კრება. წერა-კითხვის უცოდინარ დელეგატთა რიცხვი უდრის 420. ოზურგეთისა და ლეჩხუმის მაზრაში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში მეცადინეობს 342 ქალი.

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო წრეთა რიცხვი უდრის 74. პოლიტ-წრეებში მუშაობს სულ 648 ქალი. გაგზავნილია საბჭოთა პარტ-სკოლებში 16 ქალი, მოსკოვში აღმოსავლეთის კურსებზე 2 ქალი, სახელმწ. უნივერსიტეტში 4 ქალი, ა. კ. უნივერსიტეტში 1, მუშფაკში 1. გაგზავნილია სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე 26 ქალი, მათ შორის 22 გლეხი ქალი. მსხვილ კამპანიათა შორის გატარებულია „8 მარტი", „1 მაისი", „მობილიზაცია წითელ ლაშქარში", „კოოპერაციის საერთაშორისო დღე" და სხვ. ჩატარდა 23 სამაზრო უპარტიოთა კონფერენცია, რომელზედაც დაისწრო დაახლოებით 1000 ქალი მაზრების უმეტეს ნაწილში მოწყობილია ქალ. განყოფილებებთან ლიტერატურული კოლეგიები; გამოყოფილია კორესპონდენტი-ქალები, რომელნიც აგზავნიან მასალას მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების შესახებ პრესაში

(დასასრული იქნება)

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.
(26 ოქტომბერი).

ჩერვონცები — — —	75,500
გირ. სტერლინგ. ეფექტ	68,500
ჩეკები —	61,660
დოლარები ეფექტ.	15,360
ჩეკები	14.300
ოსმ. ქაღ. ლირა	7.460
იტალიური ლირა	475
ფრანგული ფრანკი	710
საბჭ. ფულის ნიშნები	12 ნახ.

ბირჟის მიმოხილვა.
(27 ოქტომბ.)

ალდაშის ბრინჯი. ფხვნილი შაქარი რუს. შაბიამანი. კარტოფილი. სპილენძი (წითელი). აბრეშუმი. ტყის მასალა. რუს. მანუფაქტურა. ქიმიური ნაწარმოები. კაუსტიური სოდა. სალამასი. ასანთი. რუს. ცემენტი და ეტერნიტი. მზესუმზირას ზეთი. რკინეული. ქვა-მარილი ნახიჩევანის. ელექტრო-მექანიკური მასალა. საპონი. ფანჯრის მინა.

ბირჟის მოთხოვნილება.

გოგირდის სიმჟავე. სალამასი. მზესუმზირას ზეთი. აგური. ყუბანის ფქვილი (საკანდიტერო) ტექნიკური ცხიმი. ფხვნილი შაქარი. აბრეშუმი დაურთავი. ჩაი. ქვა-მარილი ნახიჩევ. ბახმუტის მარილი. ასანთი რუს.

მუშკოპის ფასები.
(27 ოქტ.)

პური 1 ხარ.—400 ათ., პური 2 ხარ.—350, ძროხის ხორცი—1 მილ. ცხვრის ხორცი—1350 ათ., შაქარი რაფინადი 3.200 ათ., ფხვნილი შაქარი 2600 ათ., მაკარონი—1100 ათ., კარტოფილი—100 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.
(27 ოქტომბერი.)

პური 1 ხარ. გირ. 450—550 ათასი, პური 2 ხარ.—350, ძროხის ხორცი—1200, ცხვრის ხორცი—1500, შაქარი რაფინადი 3200, ფხვნილი შაქარი 2650, ბრინჯი ალდაშის 700, მაკარონი 1200, კარტოფილი 125—150

საქონლის ბაზრის განწყობილება.
(26 ოქტ.)

საერთოდ საქონლის ბაზრის განწყობილება უწინდებურად უმოქმედოთაა.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.
(26 ოქტ.)

24 ოქტომბერს ბირჟის გარეშე დადებულია 12 გარიგება სულ 42687 მან. ჩერვ. თანხისა.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

ჩერვონცების და უცხო ვალიუტის კურსმა კვლავ საგრძნობლად აიწია. ვალიუტის მოთხოვნილება დიდია.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატში.

სიმინდის შეძენის მოსპობა.

საგარეო ვაჭრობის კომისარიატის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა სოხუმის კანტორას სრულებით მოსპოს სიმინდის დამზადება საზღვარ გარეთ გასატანად.

ბათომის ნავთსადგურის რემონტი.

კომისარიატის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის სავაჭრო გამგეობას—დადვას ხელშეკრულება ამ კავკ. ნავთსადგურთა განყოფილებასთან ბათომის ნავთსადგურის რემონტის დამთავრების შესახებ.

სოხუმის კანტორის ოპერაცია.

სოხუმის კანტორას უკვე დაწყებული აქვს მოლაპარაკება რუს. ჯანმრთელობის კომისარიატის რწმუნებულთან მიჰყიდის უკანასკნელს 43 ათასი ფუთი ძელქვა (САМШИТ) 1 მან. 75 კაპ. ფუთში.

მთლ. სას.-სამეურნეო გადასახადის აკრება.

ა. | კ. ფინსახკომისარიატმა დაავალა საქართველოში რწმუნებულის სამმართველოს, რათა ს. ს. რ. ფარგლებში შეეკრიბა მთლიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადი ა. | წ. ოქტომბრის თვის განმავლობაში ორი ტრილიონი (2.000.000.000.000) მანეთი. აღნიშნულ თანხის ანგარიშში 24 ოქტომბრამდე შემოვიდა:

ტფილისის მაზრაში	405.535.400.000 მან.
ბორჩალოს „	400.000.000.000 მან.
სიღნაღის „	372.286.100.000 მან.
ახალქალაქის „	230.529.097.000 მან.
გორის „	180.000.000.000 მან.
დუშეთის „	162.750.000.000 მან.
ახალციხის „	162.101.134.000 მან.
თელავის „	67.000.000.000 მან.
სამხ.-ოსეთის „	39.877.900.000 მან.
თიანეთის „	17.299.503.000 მან.
და სულ შემოვიდა	2.037.479.134.000 მან.

ასე, რომ ა. | კ. ფინსახკომისარიატის [illegible] 100 პროც.-ზე მეტი.

კოოპერაცია

ცენტროსოიუზში

კოლეგიის პლენუმი.

ახლო მომავალში მოწვეული იქნება ცენტროსოიუზის კოლეგიის წევრთა პლენუმი, სადაც იქნება განხილული შემდეგი კითხვები: მოხსენება ცენტროსოიუზის ამიერ-კავკასიის განყოფილების მოქმედების შესახებ, მოხსენება კოოპერატიულ პოლიტიკის და ეკონომიურ კრიზისის შესახებ; ამიერ-კავკასიის მე 3-მე კოოპერატიულ კონფერენციის მოწვევაზე; ცენტროსოიუზის 25 წლის იუბილეს შესახებ და სხ.

საქონლის გაშვების მოსპობა.

ცენტროსოიუზის პრეზიდიუმმა დაადგინა, თანამედროვე ეკონომიური კრიზისის მიხედვით, მოუსპოს საქონლის გაცემა კრედიტის სახით იმ დაწესებულებებს, რომლებსაც აქამდის არ გადაუხდიათ თავისი ვალები.

ამიერ-კავკასიის საინსტრუქტორო-სასტატისტიკო კრება.

შემუშავებულია პროექტი ამიერ-კავკასიის საინსტრუქტორო სასტატისტიკო კრების, რომლის მოწვევა განზრახულია ნოემბრის ბოლო რიცხვებში.

დელეგატის დანიშვნა.

სრულიად რუსეთის კოოპერატიულ ბანკის საალრიცხვო კომიტეტის წევრად ცენტროსოიუზიდან დანიშნულია კოლეგიის წევრი ბალტინი.

„არკოს"-ში.

სექტემბრის განმავლობაში არკოსმა შეისყიდა „ხაკავიასაგან" 36.000 ფუთი ნავთის ნაწარმოები და ამიერ-კავკასიის რკინის გზისაგან 3000 ფუთი.

იმავე საზოგადოებამ უნდა შემოიტანოს საზღვარ-გარეთიდან ამიერ-კავკასიის რკინისგზისათვის საჭირო ტექნიკური მასალა და საქონელი.

მშენებელთა კავშირის სრ. საქართველოს მესამე ყრილობა

22 ოქტომბრის დილის სხდომა

ზაკსკომის მოხსენება.
(მომხსენებელი ამხ. კოჟევნიკოვი.)

მომხსენებელმა ამხ. კოჟევნიკოვმა აღნიშნა, დღევანდელ სათბობი მარაგის სიმცირის გამო თუ რა მნიშვნელობა აქვს წყლის ენერგიას—თეთრ ნახშირს, რომელიც საქართველოს და ამიერ-კავკასიას საერთოდ უხვად მოეპოვება. მთელი ამიერ-კავკასიის წყლის ენერგია უდრის სამი მილიონი ცხენის ძალას, ამ რაოდენობიდან საქართველოზე მოდის ორი მილიონი ცხენის ძალა. ა. | კ.-ის 3 მილიონიან ენერგიიდან გამოყენებულია მხოლოდ რვა ათასი ცხენის ძალა. ე. ი. 0,4 პროცენტი, მაშინ როცა მთელი ამიერ-კავკასიის წყლის ენერგია ეთანაბრება შვიდას ორმოცდა ათ მილიონ ფუთ ნავთს, რაც ბაქოს რაიონში ერთი წლის განმავლობაში ამოღებული ნავთის რაოდენობას უდრის.

ზაჰესის გამოანგარიშებით სადგურის აგება დასრულდება 1926 წლისათვის. პირველი წლების განმავლობაში სადგური მოგვცემს 9 ათასი ცხენის ძალას, 1931 წელს—18 ათასი ცხენის ძალას, 1936 წ.—36 ათასს ც. ძალას და დასასრულ 1940 წელს სადგური მოგვცემს 45 ათასი ცხენის ძალას, ამ დროისთვის საჭირო იქნება დამატებითი სადგურები მდ. არაგვზე ან ხრამზე

შემდეგ ამხ. კოჟევნიკოვი გადადის აგებულ შენობათა და საამშენებლო მუშაობის აღწერაზე.

კამათის დროს ამხანაგები აღნიშნავენ, რომ ზაგესკომის სამუშაოებს აძლევს მოიჯარადრეებს, რომლის წინამდეგაც ამხ. ბრძოლას მოითხოვენ საბოლოო სიტყვაში ამხ. კოჟევნიკოვმა განაცხადა, რომ „გოსტროი" მოწვეული იყო სამუშაოს ასაღებად, მაგრამ დიდი სისუსტე გამოიჩინა, სამუშაოები იძლევა საჯარო ვაჭრობით და ჩვენთვის უფრო ხელსაყრელ პირობებზე ყოველთვის კერძო მოიჯარადრენი თანხმდებიან.

მოხსენება ა.-კავკასიის წყლის მეურნეობის შესახებ.
(ზაკოდხოზ-ის).

1922 წლის დასასრულს ა.-კავკასიის ცაკმა დაადგინა ამიერ-კავკასიის წყლის მეურნეობათა გაერთიანება.

საწყლო დაწესებულებათა გაერთიანება დაიწყო 1923 წლის თებერვალში. ამიერ-კავკასიის მასშტაბით დაარსდა ერთი ცენტრალური სამმართველო, ხოლო ცალკე რესპუბლიკებში მოეწყო ა.-კ. წყლის მეურნეობის რწმუნებულთა სამმართველოები.

ა.-კ. წყლის მეურნეობის მუშაობა თავისი ხასიათის მიხედვით იყოფა შემდეგ ჯგუფებად: 1) სამელიორაციო სამუშაო, 2) საელექტრო-ფიკაციო მუშაობა, 3) ნაპირების გასამაგრებელი, 4) წყლის მისაწოდებელი.

საქართველოში უფრო მეტი მუშაობა სწარმოებდა მელიორაციის დარგში. საქ. 20 სხვადასხვა ალაგას სწარმოებდა ესა თუ ის მელიორაციული მუშაობა. აღსანიშნავია მცხოვრებთა განსაკუთრებული თანაგრძნობა წარმოებულ მუშაობისადმი.

ფინანსიური მდგომარეობის მხრივ ა.-კ. წყლის მეურნეობა რამოდენიმედ კრიზისს განიცდის. ამჟამად გამორკვეულია, რომ ა.-კავკ. წყლის მეურნეობას მიეცემა საკმაო თანხა. რაც საშუალებას მოგვცემს მომავალ წლისათვის მოირწყოს 60,000 დესეტინა მიწა.

„ჰიდრო სტროის" გეგმით გათვალისწინებული იყო 100 ათასი დესეტინის მორწყვა. მოხსენებას დიდი კამათი არ გამოუწვევია, მხოლოდ მოკამათენი მიუთითებდენ მოიჯარადრეების მოკალათებაზე ა.-კ. წყლის მეურნეობის მიერ წარმოებულ მუშაობაში.

საღამოს სხდომა.

„გოსტროის" მოხსენება

უდიდესი ინტერესი გამოიწვია „გოსტროის" მოხსენებამ.

„გოსტროის" არსებობის დასაწყისი ეკუთვნის 1923 წ. თებერვალში ცალკე მრეწველთა კრებას. „გოსტროის" ორგანიზაციის დღიდან რამოდენიმეჯერ შეიცვალა მისი სტრუქტურა და აგრეთვე გამოიცვალენ ამ დაწესებულების ხელმძღვანელი პირები. „გოსტროის" ორგანიზაცია დღესაც არ ჩაითვლება დამთავრებულად. „გოსტროის" სულ აღებული აქვს 12 საიჯარო სამუშაო, აქედან დასრულებულია 4, საბოლოოდ ანგარიში გასტუმრებულია მხოლოდ ორი სამუშაო.

„გოსტროის" მომავალ მუშაობის პერსპექტივები დამოკიდებულია იმაზე, თუ რა შეღავათები და უპირატესობა მიეცემა მას კერძო მოიჯარადრეებთან შედარებით.

მოხსენების გარშემო გამართულმა კამათმა გამოარკვია, რომ „გოსტროიზე" დამყარებული იმედები გაცრუებულა, რომ „გოსტროის" ხელმძღვანელი პირები შეუფერებელი და უმოქმედონი გამოდგნენ. შექმნილი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად ამხანაგების წინადადებით, საჭიროა ხელმძღვანელ პირთა გამოცვლა და მოიჯარადრეობასთან ბრძოლაში ხელის შეწყობა.

23 ოქტომბრის დილის სხდომა

ს. მ. უ. ს. საამშენებლო მასალის დამამზად. ქარხნის სამმართველოს მოხსენება.

23 ოქტ. დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება ს. მ. უ. ს. საამშენებლო მასალის დასამზადებელ ქარხნის სამმართველოს მუშაობის შესახებ. სამმართველო განაგებს შემდეგ წარმოებას: ქსანის კრამიტ-აგურის ქარხანას, ქუთაისის საკირეს, ცარცის და აგურის ქარხნებს ტფილისში და გაჯის წარმოებას. სამმართველოს მოქმედება შეიცავდა წარმოებათა მოწესრიგებას, მოთხოვნილებათა გადიდებისათვის ხელის შეწყობას და ფაბრიკატების გასასაღებლად ახალი ბაზრის გამონახვა დაპყრობას.

თავის მოკლე ხნის მოქმედების დროს ქარხანათა სამმართველომ აიღო მთელი რიგი მსხვილ შეკვეთებისა საქართველოსა და აზერბეიჯანში. დღიდან დაარსებისა ხუთი თვის განმავლობაში სამმართველოს აიღო 150,000 მანეთის (ჩერვონცის) შეკვეთა.

23 ოქტ საღამოს სხდომა

უმუშევრობა მშენებელთა შორის
(ამხ. მიქაძის მოხსენება).

უმუშევრობის საერთო მიმოხილვის შემდეგ, ამხ. მიქაძე ეხება მშენებელთა უმუშევრობას, რომელიც წმინდა სპეციფიური ხასიათის მატარებელია და დამოკიდებულია საამშენებლო სეზონის დაწყებასა, მოიჯარადრეობასთან ბრძოლაზე და სხვაზე.

სულ უმუშევარ მშენებელთა რაოდენობა ტფილისში აღწევს 250 კაცს, რაც სავსებით ნორმალურად უნდა ჩაითვალოს, თუ მხედველობაში მივიღებთ საზაფხულო სეზონის დასრულებას. კავშირის ცენტ. გამგეობამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს მუშების უკუღმართ დაქირავებას და აგრეთვე საამშენებლო წარმოების მოწესრიგებას.

ხეზე მომუშავეთა კავშირის სრულიად საქართველოს მესამე ყრილობა

ყრილობის დილის სხდომა (22 ოქტომბერი)

ცენტრალური გამგეობის ანგარიში.

საორგანიზაციო მუშაობის სფეროში ცენტრალურმა გამგეობამ მიაღწია მნიშვნელოვან შედეგებს. მან სერიოზული ყურადღება მიაქცია საალრიცხვო-სტატისტიკურ მუშაობას. მიღებული იყო ზომები ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშების კავშირში ჩაბმისათვის.

სერიოზული ყურადღება ექცეოდა ფაბრიკა-ქარხნებთან კავშირის და მათ ხელმძღვანელობის საკითხებს, რაც შეეხება კავშირს პროვინციასთან, მიუხედავათ გამგეობის ყოველგვარი ზომებისა,—ეს მოისუსტებს, რაც უნდა აიხსნას საშუალებების უქონლობით.

არის საკმაოთ მოგვარებული დამოკიდებულება [illegible]. კავშირს თავის რიგებში ჰყავს საქართველოს მასშტაბით 766 კაცი.

ურთიერთ დახმარების კასა.

342 წევრიდან ტფილისში 215 ითვლება ურთიერთ დახმარების კასის წევრათ. კასის არსებობის განმავლობაში გაცემულია დახმარება 3 და 72 სესხი—456 საქ. მანეთის რაოდენობით. სესხები დაფარულია 272 საქ. მ. რაოდენობით და თანდათანობით იფარება. 1 ოქტომბრისათვის კასაში მოიპოვებოდა 2,503,368,000 მანეთი.

ინდივიდუალური წევრობა.

ინდივიდუალურ მეთოდზე გადასვლა საწევრო გადასახადის გადახდევინებისათვის ქალაქში მოხდა ჯერ კიდევ საანგარიშო პერიოდის დასაწყისში. ამ ინდივიდუალურ მეთოდზე გადასვლამ რამოდენიმეთ დაიგვიანა პროვინციებში, მაგრამ ამჟამად ეს გადასვლა განხორციელებულია საერთო-რესპუბლიკის მასშტაბით.

კავშირის ფინანსების განმტკიცება.

ამ უკანასკნელ დროს ცენტრალური გამგეობა ღებულობს ზომებს იმისათვის, რომ როგორც კავშირის ცენტრალური გამგეობა, ისე სამაზრო ადგილკომები გადავიდენ ხარჯთაღრიცხვის მიხედვით არსებობაზე; საერთოდ ცენტრალური გამგეობა დიდ ყურადღებას აქცევს კავშირის ფინანსიური მდგომარეობის განმტკიცებას.

სატარიფო-ეკონომიური მუშაობა.

ცენტრალური გამგეობის ძირითად ამოცანას სატარიფო პოლიტიკის სფეროში შეადგენდა მუშაობა კოლექტიურ ხელშეკრულებათა დასადებათ და რეალური სამუშაო ხელფასის დასაცავად და შეძლებისდაგვარათ მის გასაუმჯობესებლათ.

საანგარიშო პერიოდში დადებულია და განახლებულია 30 კოლექტიური ხელშეკრულება 9 ჯგუფური და 4 არა ჯგუფური სატარიფო შეთანხმება.

მუშების სამუშაო ხელფასი იანვარში უდრიდა საშუალოთ ომამდე არსებული სამუშაო ხელფასის 60 პროცენტს, ივლისში 70-ს, შავი მუშების სამუშაო ხელფასი კი შეადგენს ომამდე არსებული ხელფასის 85 პროცენტს.

ეს ციფრები მოწმობენ იმას, რომ ცენტრალურმა გამგეობამ გასწია ენერგიული მუშაობა კავშირის წევრთა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

კონფლიქტები.

საანგარიშო პერიოდში წარმოშობილ კონფლიქტებს [illegible] იქცევს ერთი დიდი კონფლიქტი იტალიურ ფირმა—„ობრონავაკკა"-სთან.

კონფლიქტი ეხებოდა 100 მუშას, ქარხანაში გამოცხადდა გაფიცვა. ეს კონფლიქტი გადაეცა გადასაჭრელად შრომის სასამართლოს, ხოლო შემდეგ სახალხო მოსამართლეთა საბჭოს, რომელმაც გამოიტანა დადგენილება კავშირის სასარგებლოდ, რომლითაც მოსამსახურეებს დასაკმაყოფილებლად უნდა მისცემოდა 36597 ჩერ. მანეთი. რადგანაც ფაბრიკის მეპატრონეები წავიდენ იტალიაში, კავშირი ღებულობს ზომებს ქარხნის საჯარო ვაჭრობით გასაყიდათ.

კულტურული მუშაობა.

კავშირის ცენტრალურ გამგეობას ყველა კოლექტიურ ხელშეკრულებებში შეტანილი აქვს მუხლი კულტურული მუშაობისათვის 2—3 პროცენტის გადარიცხვის შესახებ.

ამ გადარიცხვიდან შექმნილია კულტურული ფონდი და კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას ხელს უწყობს მტკიცე მატერიალური ბაზა. კულტურულ ფონდში 23 წ. 9 თვის განმავლობაში შემოვიდა 3,329,829 ათასი მანეთი.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის მოსხნილია სკოლები. ხეზე მომუშავეთა შორის ძლიერ დიდია წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი.

კავშირის ყველა წევრების 50 პროცენტზე მეტს გამოწერილი აქვს მუშათა გაზეთები: „რაბოჩაია პრავდა" და „მუშა"

მომხსენებელი სარევიზიო კომისიიდან ამხ. ტოპჩიანი აღნიშნავს ფინანსების აღრიცხვის სისწორით წარმოებას.

საჭიროა კიდევ გაწმენდა

(შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში.*)

მიუხედავად რამოდენიმეჯერ შტატების შემოკლებისა და უვარგის მოსამსახურეთა გაწმენდისა, საბჭოთა დაწესებულებებში მაინც დარჩა საგრძნობი რიცხვი ისეთი მოსამსახურეებისა, რომლებიც არ არიან არც ე. წ. „სპეცები" და არც საიმედონი საბჭოთა ხელისუფლებისათვის. კიდევ მეტი: ზოგიერთნი შეგნებულად მოქმედებენ ხელისუფლების პრესტიჟის დასაცემათ და თავიანთ მდგომარეობას იყენებენ მხოლოდ ჯიბეების გასასქელებლად. მაგ. ასეთ მოვლენებს ადგილი აქვს ისეთ მნიშვნელოვან უწყებაში, როგორიცაა შინაგან საქ. სახალხო კომისარიატი, რომელიც უმაღლესი ორგანოა რესპუბლიკაში რევოლიუციონურ წესრიგის და მშვიდობიანობის დაცვის საქმეში, და რომელსაც, მაშასადამე, მეტად სჭირდება საიმედო და საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგულნი მომუშავენი.

გაზ. „კომუნისტი"-ს 213 ნომერში მოთავსებული იყო წერილი მუშკორ „გარეშე"-ს მიერ სათაურით: „რაშია საქმე", რომელშიაც მუშკორი სრული სიმართლით აღნიშნავდა ქალაქ ფოთის გამასწორებელ სახლის უფროსის მოქ. ხუციშვილის სამსახურისადმი დაუდევრობას, ბოროტმოქმედებას და სხ. მ. გ. ინსპექციამ მოახდინა ამის შესახებ გამოძიება, დაამტკიცა ფაქტები და, მისცა რა პასუხისგებაში ციხეების მთავარ სამმართველოს უფროსი მოქ. კაკაბაძე და ხუციშვილი, მოსთხოვა ოფიციალურად შ. ს სახ. კომისარიატს აღნიშნულ პირთა სამსახურიდან გადაყენება. შინაგან საქ. სახ. კომისარიატმა არამც თუ არ შეასრულა მ | გ. ინსპექციის კანონიერი მოთხოვნა (ვგონია პასუხისგებაში მიცემულთ სამსახურში და ისიც საპასუხისმგებლოზე აღარ სტოვებენ), ისედაც არ დაინტერესებულა საქმის გამორკვევაში, მან არ აწარმოვა თავის მხრივ არავითარი გამოძიება და აღნიშნული პირნი დღესაც თავიანთ ადგილზე არიან (თუმცა ისინი დღესაც პასუხისგებაში იმყოფებიან).

გაზ. „რაბოჩაია პრავდა"-ს № 163-ში მოთავსებული იყო წერილი, თუ როგორ იქნა დათხოვნილი სამსახურიდან ტფილისის 1-ელ გამასწორებელ სახლის უფროსი—კომუნისტი კარგი მომუშავე და მის ადგილზე დაინიშნა ყოფილი „აკალოდოჩნიკი" და ქარელის ბოქაული ბატ. გვათუა და, როგორც იგივე გაზეთი სრულიად მართებულად აღნიშნავდა, გვათუას დანიშვნა მოხდა შ. ს. ს. კომისარიატში მყოფ ერთი პასუხისმგებელ პირის მიერ. უფრო საყურადღებოა და სამწუხარო, რომ ამ პირმა ყურიც არ ათხოვა გაზეთის მიერ გვათუას, როგორც შავპიროვნების, დახასიათებას.

მხოლოდ გვათუა რამოდენიმე ხნის შემდეგ დათხოვნილ იქნა სამსახურიდან ამხ. საშა გეგეჭკორის მიერ, უკანასკნელის შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ.

მოქ. გვათუას თიანეთის მაზრის მილიციის უფროსის თანამდებობიდან 1-ლ გამასწორებელ სახლის უფროსათ გადაყვანის შემდეგ, მილიციის უფროსათ დანიშნულ იქმნა გვათუას ყოფილი თანაშემწე, ხოლო თანაშემწეთ დანიშნულ იქნა შ. ს. ს. კომ—ტის მიერ გვათუას ამხანაგი გამოჩენილი მექრთამე, ავლაბრის ყოფილი ბოქაული—სიმონ დავიდოვი. ეს დანიშვნა კი მოხდა კომისარიატის სამილიციო განყ. უფროსის და მისი თანაშემწის ლოცვა-კურთხევით. ამ შემთხვევაში დავიდოვის მფარველების ვინაობა აშკარაა. პირველი—ირაკლი თაზიშვილი და მეორე სერგო ნადარაძე.

სამწუხაროა და აღმაშფოთებელი ასეთი მოვლენა, რომ ისინი ბოროტათ იყენებენ თავიანთ მდგომარეობას და ასეთ საპასუხისმგებლო ადმინისტრატიულ თანამდებობაზე ნიშნავენ დავიდოვს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დროს განდევნილ იქნა ტფილისის ქალაქის მილიციიდან—დაბალ თანამდებობიდან,—როგორც პოლიტიკურად არა საიმედო. უფრო საკვირველია ის, რომ თვით შინ. საქ. სახ. კომ-ტში ისეთ საპასუხისმგებლო ადგილებზე, როგორიცაა განყ. უფროსის და მისი თანაშემწე-ს, იმყოფებიან არა საიმედო პოლიტიკურად [illegible] მენშევიკების დროს უბრალო და უნიჭო „ჩინოვნიკებათ" ნამყოფი პირნი, საკმარისია დავასახელოთ ორი, მთავარ განყ. უფროსის თანაშემწენი: სამილიციო განყ. მოქ. ნადირაძე სერგო—ყოფილი აგენტი ტფილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოსი და ფინანსიური განყ. უფროსის თანაშემწე მოქ. ვლადიმერ ფანიაშვილი—ყოფილი და ალბათ ეხლა ფარდა ამოფარებული წევრი ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიისა (ეხლა ცხადია ფორმალური წევრი ვერ იქნება ნაც. დემოკ. პარტიის დაშლის გამო), რომელიც საკმაოთ ხელგაშლილად სცხოვრობს.

ასეთ ყოვლად დაუშვებელ მოვლენებს ბევრს აქვს ადგილი ამ უწყებაში და თუ საჭირო დარჩება, გამოტანილი იქნება ჩემს მიერ სინათლეზე. სწორედ აღნიშნული პირებია იმის მიზეზი, რომ შინაგან საქ. სახ. კომისარიატში კომუნისტები თითზე ჩამოსათვლელადაც არ არიან და თუ თითო ოროლა არის, მათთაც ერეკებიან იქიდან დიპლომატიურად, რაც სრულიად გასაგებია შექმნილ მდგომარეობის გამო, ვინაიდან რამდენი მეტი იქნება კომუნისტები იმდენად უარესი იქნება ამ ვაჟბატონებისათვის, რომლებსაც საშუალება არ ექნებათ აკეთონ თავიანთი ბნელი საქმე.

საჭიროა აუცილებლად ჩვენმა კომუნისტურმა პარტიამ და შ. ს. ს. კომისარმა ამხ. გეგეჭკორმა სერიოზული ყურადღება მიაქციონ ასეთ აღმაშფოთებელ მოვლენებს და ძირიან-ფესვიანათ აღმოფხვრან ასეთები. მით უფრო საჭიროა ეს დღევანდელ მძიმე საერთაშორისო მომენტში, როდესაც თითეული საბჭოთა დაწესებულება უნდა წარმოადგენდეს მაგარ და საიმედო ორგანიზაციას.

კომუნისტი.

---

*) ჩვენ მივაქცევთ ამხ. ა. გეგეჭკორის ყურადღებას ამ წერილზე. რედაქცია.

ქრონიკა

— **უმაღლესი ჯილდო მოსკოვის სას. სამ. გამოფენაზე ერგო საქართველოს პავილიონს.** მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დახურვის წინ, საგამოფენო კომისიის დადგენილებით სამ უმაღლეს ჯილდოდან ერთი ჯილდო ერგო საქართველოს პავილიონს. ორი ჯილდო კი რუსეთის ცენტრალურ პავილიონებს.

— **პირველი ჯილდო. საქ. მეაბრეშუმეობის და მეფუტკრების ექსპონატებს.** საგამოფენო კომისიის უკანასკნელი სხდომის შემდეგ პირველი ჯილდო მიენიჭა საქართველოს მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის ექსპონატებს.

ქუთაისსა და ბორჩალოში. საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტების წარმომადგენლების სამაზრო ყრილობები ქუთაისში და ბორჩალოს მაზრებში გაიხსნება 30 ოქტომბერს.

— **მისასალმებელი დეპეშები.** ზუგდიდის და შორაპნის მაზრებში საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტების წარმომადგენლების სამაზრო ყრილობები გაიხსნა 25 ოქტომბერს. ზემოაღნიშნულ მაზრებში ყრილობების გახსნას სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი დეპეშით მიესალმა და უსურვა ყრილობებს თავიანთი მუშაობის ნაყოფიერათ დამთავრება.

— **საგლეხო სახლის მოწყობა.** სიღნაღის მაზრის საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტების წარმომადგენლების პირველ სამაზრო ყრილობაზე—ტფილისში გლეხთა სასახლის მოწყობის საჭიროებაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარმა ამხ. კ. ხომერიკმა. ყრილობამ გლეხთა სასახლის მოწყობის შესახებ მოისმინა რა მოხსენება ამხ. ხომერიკის ერთხმად დაადგინა: ამ სასახლის მოსაწყობად თავის მხრივ საჭირო თანხა გაიღოს და ეთხოვოს მთავრობას გლეხთა სასახლის მოწყობა დაიჩქაროს. სამაზრო ყრილობებს ასეთი დადგენილებები გამოაქვთ რესპუბლიკის სხვა მაზრებშიც.

— **ლენინის ბაღი.** ამ ჟამად სწარმოებს ლენინის სახელობის ბაღის დაგეგმვა ინგლისურ სტილზე.

— **რამდენი შაქარი უნდება ა.-კავკასიას წელიწადში.** ა.-კ საგარეო ვაჭრობის კომისარიატის ცნობით, ამიერ-კავკასიას წელიწადში სჭირდება სულ 800,000 ფ. აქედან შაქარი რაფინადი 20 პროც., ხოლო ფხვნილი 80 პროც.

— **სახელოსნოების მოწყობა პროფსკოლასთან.** განათ. კომისარიატის სასკოლო განყოფილებამ დაადგინა მისცეს პირველ შრომის პროფსკოლას ნახევარი მილიარდი მ., ფეხსაცმელებისა და წიგნთ-საკაზმავის სახელოსნოების მოსაწყობათ.

— **საბავშვო სახლების კურს დამთავრებულების შესახებ.** სოციალური აღზრდის მთავარ-მმართველობამ მიმართა თხოვნით საქ. კომპარტიის ცაკას, რათა შრომის ბირჟაში პირველ რიგში ჩაირიცხონ საბავშვო სახლების ახლად კურს დამთავრებულები, კომკავშირების წევრების ნაცვლად.

— **სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის წევრთა წლიური კონფერენცია.** დღეს ხელოვნების სასახლეში (სერგიევის ქ. № 13) იხსნება სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის მორიგი წლიური კონფერენცია. კონფერენცია გაიხსნება საღამოს 6 საათზე.

— **აგრარული რეფორმის გამორკვევა.** ქ. აღმასკომის პრეზიდიუმმა დაავალა სპეციალურ კომისიას აგრარულ რეფორმის გამორკვევა ტფილისის მაზრაში.

— **ცეკავშირის მექანიკური სახელოსნო.** ცეკავშირის გამგეობამ შრომის არტელს „პრაგა-მანქანა"-ს იჯარით გადასცა თავის მექანიკური სახელოსნო მთელი ინვენტარით. არტელმა აღნიშნულ სახელოსნოში უპირველესათ უნდა დაამზადოს ცეკავშირის შეკვეთების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო იარაღები. 17 ოქტომბერს ჩეხო-სლოვაკიიდან ტფილისში ჩამოვიდენ სახელოსნოში მუშაობის დასაწყებათ 27 მუშა.

— **ორთქლმავლების შეკეთება.** სექტემბრამდე რკინის გზის სახელოსნოებში [illegible] დაზიანებული ორთქლმავალი.

— **დანიშვნა.** პროფგანათლების მთავარმმართველობამ ტფ. მესამე საერთო განათლების საღამოს კურსების გამგეთ დანიშნა მ. სიდოროვი.

— **საბავშვო ლიტერატურა თათრულ ენაზე.** სოც. აღზრდის მთავარმმართველობის კოლეგიამ დაავალა საქარ. მაჰმადიანთა სკოლების ინსტრუქტორს ხსენებული სკოლების წიგნთსაცავების საბავშვო ლიტერატურით მომარაგების მიზნით, შეადგინოს სია საბავშვო წიგნებისა, რომელიც გამოცემული იქნება თათრულ ენაზე აზერბეიჯანში.

— **სომხური საბავშვო ჟურნალი.** განათლების კომ. სამხ. სალიტერატურო სექციამ მიმართა სომეხ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას თხოვნით, სომხური საბავშვო ჟურნალ „კარმირ-ცილერ"-ის სარედაქციო კოლეგიაში თავის წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ.

— **საქართველოს სამაგიდო ღვინოები.** საქართველოს სამაგიდო ღვინოების ექსპონატებმა, მოსკოვის სახ. სამეურნეო გამოფენაზე მიიღეს ჯილდო და ცნობილ იქნენ ყველაზე საუკეთესო ღვინოებათ.

— **საცდელ სანერგეების ექსპონატები.** აგრეთვე გამოფენაზე ჯილდო მიიღეს საქარ. საცდელ სანერგეების დაწესებულებების ექსპონატებმა.

— **სესხი არტელებს.** შრომის მარაგის კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა შრომის სახ. კომისარიატის წინაშე, რათა მეტყევეთა პირველ არტელს სესხის სახით მიეცეს 500 ჩერვონეცი.

— **უმუშევართა სასადილოში.** შრ. ბირჟის კომიტეტის დადგენილებით უფასო სადილობით სარგებლობა შეუძლიათ კავშირის უმუშევარ წევრებს, რაც შეეხება კავშირის არა წევრებს და სტუდენტებს, იმათ სადილი მიეცემათ გამონაკლის შემთხვევაში.

— **შრომ. ბირჟა.** 25 ოქტ. აღრიცხვაზე გამოცხადდა 289, ახლად ჩაეწერა 114, სამუშაოზე გაიგზავნა 109 უმუშევარი.

შემთხვევები.

— **მუშათა კოოპერატივის გაქურდვა.** 24 ოქტ გაქურდულ იქნა მუშათა კოოპერატივი, რომელიც მდებარეობს პლეხანოვის პროსპექტზე № 121, წაღებულია რამდენიმე მილიარდის ფართლეულობა.

— **გვამის პოვნა.** 20 ოქტ. საგარეჯოს მიდამოებში, რუყეზე მილიციამ იპოვა გვამი. მოკლული აღმოჩნდა იმავე სოფ. მცხოვრები ნიკო ხორაძე.

— **შეტაკება ბანდიტებთან.** 20 ოქტომბერს სართიჭალის და საგარეჯოს მილიციის უფროსების მიერ ყარაიაზის რაიონში გარეჯის მონასტერთან შემჩნეულ იქნენ სამი შეიარაღებული უცნობი პირები, რომლებმაც მილიციის დანახვისთანავე ასტეხეს სროლა. აღნიშნულმა მილიციის უფროსებმა სროლითვე უპასუხეს. სროლა გაგრძელდა 20 წუთს, რის შემდეგ ბანდიტებმა მოასწრეს მიმალვა.

— **მკვლელობა.** 19 ოქტ. ძმებმა კოსტა, სტეფანე და კოლა მაყაშვილებმა მოკლეს თავიანთი ბიძა ანდრო მაყაშვილი. პირველი მკვლელი კოსტა მაყაშვილი შეპყრობილ იქნა.

მუშათა ცხოვრება

დამკვრელი ამოცანა

(ა. ქ. რკინის გზაზე მომავალ შტატების შემცირების გამო).

ცენტრალურ პრესის ფურცლებზე თითქმის ყოველდღე ვკითხულობთ, რომ რკინისგზელების რეალური სამუშაო ქირა ნაკლებია, ვიდრე სხვა ჩვენს წარმოებებში. სამუშაო ქირის მომატება ომის დრომდე არსებულ ნორმამდე შეუძლებელია, ვინაიდან რკინის გზების ახლანდელი შემოსავალი არ ჰფარავს ხარჯებს და გზა იძულებულია მიიღოს სახელმწიფოდან „დოტაცია" (დახმარება) ეს უკანასკნელი კი მძიმე ლოდად აწევს მოსახლეობას სხვადასხვა გადასახადების სახით, რომლის სიმცირე აიძულებს მთავრობას მიმართოს ქაღალდის ფულების საბეჭდ დაზგას.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში ყველა წარმოებების და მათ შორის ტრანსპორტის სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის გამო, ეხლიდანვე ჩვენ უარი უნდა ვსთქვათ სამუდამოდ და ისე წარვმართოთ ჩვენი საწარმოო დაწესებულების მეურნეობა, რომ ის არა თუ არ უნდა საჭიროებდეს სახელმწიფოდან დახმარებას, პირიქით მოგებასაც უნდა გვაძლევდეს.

ჩვენი წარმოების დეფიციტის თავიდან ასაცილებლად, ჩვენ უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება მეტი ეკონომია გავსწიოთ ამ წარმოების შენახვად. უნდა შევამციროთ ხარჯები შტატზე, სათბობ მასალაზე და ვერიდოთ ისეთ სამუშევრების წარმოებას, რომელნიც ამჟამად არ წარმოადგენენ მწვავე საჭიროებას.

განსაკუთრებით დიდი და სავსებით სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ამჟამად არსებულ არანორმალურად გადიდებულ შტატს რკინის გზებზე.

გზათა სახალხო კომისარიატის ბრძანებით დაარსებულ იქნა რკინის გზებზე განსაკუთრებული „მართველობები", რომელთაც ერთი წლის მუშაობის შემდეგ არაფერი რეალური არ მოუციათ გარდა იმ არა სასურველ პარალელიზმისა, რომელიც ამჟამად ემჩნევა სამმართველოში. უკანასკნელის ყველა განყოფილებებთან „მმართველობამ პარალელურად შექმნა ასეთივე განყოფილებები, მოსამსახურეთა შტატებით, რომლის უმეტესი ნაწილი მიიღებს „სპეცგანაკვეთებს" და რომელიც შთანთქავს თითქმის იმდენავე კრედიტს, რამდენიც სჭირდება თვით გზის სამმართველოს.

საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ არა თუ „მართველობაში", არამედ თვით სამმართველოს ზოგიერთ განყოფილებებში და სამსახურებში ხვა[illegible] სხვა [illegible] ები და მათი თანაშემწეები იზრდებიან, როგორც სოკო წვიმის შემდეგ.

ასეთი მდგომარეობა რა თქმა უნდა ვერ მოსპობს გზის დეფიციტს და ზედმეტ ხარჯებს.

მომავალ შტატების შემცირების დროს ჩვენს პროფორგანოებს და კომისიებს მართებთ მიაქციონ უდიდესი ყურადღება ამ მოვლენას.

მუშკორი ვ. ხილიძე.

„ბებიობას" ბოლო უნდა მოეღოს

(მუშა და გლეხთა ინსპექციის საყურადღებოდ)

გაზეთ „კომუნისტი"-ს 236 №-ში მოთავსებული იყო წერილი კინო „სოლეი"-ს გამგის, მოქ. დანიელიანცის ბოროტმოქმედების შესახებ. თუმცა ეს წერილი იყო მიმართული მუშათა და გლეხთა ინსპექციის და განათლების კომისარიატების ყურადღებისთვის, მაგრამ, როგორც სჩანს, არც ერთი მას არ გამოეხმაურა.

როგორც გადმოგვცემენ, მუშათა და გლეხთა ინსპექციამ იმ დღესვე დაიწყო გამოძიება, მაგრამ დღემდე არავითარი შედეგი მას არ მოჰყოლია.

რაც შეეხება განათლების კომისარიატს, კინო წარმოების დირექტორმა მოქ. გოგიტიძემ აშკარად დაამტკიცა თავის „ბებიობა" მოქ. დანიელიანცზე.

მან განაცხადა, რომ მოქ. დანიელიანცს არ დაითხოვს, რადგან ის გამოსადეგია, როგორც თავის თავისათვის, ისე კინო-წარმოების გამგეობისათვის.

ხელმეორედ მოვითხოვთ ბოლო მოეღოს ასეთ „ბებიობას" და ბოროტმოქმედ პირთა სამსახურში ყოფნას.

მუშკორი მხილველი

მუშებში მტკიცდება ურყევი სოლიდარობა

12 ოქტომბერს სამი ქალი, ქართულ მუშათა ფაკულტეტის მსმენელები, რომლებიც ბრუნდებოდით საერთო კრებიდან, შემთხვევით შევიარეთ ამხ. კამოს სახელობის საქარხნო სასწავლებლის მოწაფეთა კლუბში, სადაც იმ დროს იდგმებოდა ორი ქართული პიესა. „ბატონი და ყმა"—მეორე „მღვდელი და დიაკვანი". ჩვენ ცნობისმოყვარეობამ გაგვიტაცა და დავრჩით წარმოდგენაზე, რადგან თვით მოწაფეები იღებდნენ მონაწილეობას წარმოდგენის დადგმაში. სამწუხაროდ, ბილეთი ჩვენთვის საკმაოდ ძვირი იყო და იძულებული ვიჩქარდით გამოვსულიყავით, მაგრამ ამ დროს ერთმა ამხანაგმა გვკითხა ჩვენს ვინაობაზე და როდესაც გაიგო მან, რომ ჩვენ მუშფაკის მსმენელები ვართ მაშინ პირზე ღიმილი მოუვიდა და გვთხოვა, რომ ერთი წუთი მოგვეცადა, სანამ გამგეს სთხოვდა კლუბში ჩვენი უფასოდ შესვლის შესახებ. მართლაც ამ ამხანაგის მეოხებით და გამგის ნებართვით ჩვენ შევედით საკმაოდ მორთულ კლუბში, სადაც [illegible] მოწაფეების მონაწილეობით. ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რადგან ჩვენ დაგვაფასეს როგორც მუშფაკის მსმენელები და ამიტომ მოვალედ ვრაცხთ ჩვენს თავს მხურვალე მადლობა გამოუცხადოთ კლუბის გამგეს ჩვენი პატივისცემისთვის. ამ კლუბში ტრიალობს ნამდვილი მუშური სული და სოლიდარობა, რაც საწინდარია ჩვენი დიდი მომავლისა.

მუშკორი ქალი მარო გველესიანი.

სამართლიანობის სახელით მუშის ჩაგვრა დაუშვებელია

(მეღითონეთა კავშირის საყურადღებოდ).

მეღითონეთა კავშირის წევრი ამხ. პისტია რამიშვილი, რომელიც თითქმის ერთი წელიწადი იყო უსამსახუროდ, დანიშნეს არტილერიის საწყობში თანამშრომლად. მაგრამ არ გასულა ერთი თვე, რომ ისევ დაითხოვეს, ვითომდა იმ მოსაზრებით, რომ ასეთ ადგილზე ზედმეტია ცალკე მოსამსახურის დაქირავება; მაგრამ სინამდვილეში სულ სხვასა ვხედავთ: იმის შემდეგ, დაუყოვნებლივ, რაც ამხ. რამიშვილმა თავი დაანება სამსახურს—მეორე დღესვე—სამსახურში მის ადგილზე მოწვეულ იქნა ვიღაც მეორე თანამშრომელი.

რაშია საქმე? ამას არ უნდა უშვებდეს არც დაწესებულების გამგე, არც კავშირი. სამართლიანობა მოითხოვს მიექცეს ყურადღება ასეთ არასამართლიან მოვლენას.

მუშკორი მ. კ.

ყოვლად დაუშვებელი მოვლენა

(სატყეო კომიტეტის საყურადღებოდ).

სატყეო კომიტეტს აქვს ქალაქის განაპირა ადგილებზე „ზასტავები" და სოფლებიდან შემოტანილი შეშანახშირის ურმებს უსინჯავენ აგენტები ადგილობრივი ტყის გამგის მიერ მიცემულ სანებართვო ბარათებს. ბარათებში აღნიშნულია დრო და რიცხვი, რომელ რიცხვშიაც უნდა უეჭველად შემოიტანოს გლეხმა ქალაქში შეშა, ანუ ნახშირი. ბარათის სამი დღე ვადა აქვს. ამის შემდეგ ბარათი ვადა გასულად ითვლება და გლეხს ერთმევა შემოტანილი შეშა. შემდეგ ეს შეშა იყიდება იგივე აგენტების მიერ და 15 პროცენტი ამ აგენტების სასარგებლოდ მიდის და 85 კი სატყეო კომისარიატის სალაროში რჩება. თვით გლეხი ცარიელი ურმით ბრუნდება გულდაკლული უკანვე შინ. შეიძლება ამას თავისი გასამართლებელი საბუთი ჰქონდეს, მაგრამ ხშირად გრეხილის აგენტები ისეთს უფლებებს ითვისებენ, რომელიც ჩემის აზრით დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს. მაგალითისთვის მოვიყვან ერთ შემთხვევას:—სოფელ [illegible] გლეხებს სანდრო გორულაშვილს და სხვ. ჩამოართვეს ოთხი ურემი შეშა, რადგანაც მათ დაჰკარგოდათ ნებართვის ბარათი. მაგრამ, როგორც [illegible] დაკარგული ბარათის ასლი ჩამოიტანეს რამოდენიმე დღის შემდეგ, მათი შეშა ამ გრეხილის აგენტებს უკვე გაეყიდნათ რის გამო ჩვენი გლეხები წასულან საჩივლელად „ლესკომში" და ვიღაც დუნდუაძ ეთქვა მათთვის: „მეორედ რომ ჩამოიტანთ შეშას, ის თქვენთვის გაყიდეთ"-ო. აქედან გამოის დასკვნა, რომ გლეხმა ერთი ურემი შეშა თავისთვის ქალაქში ჩამოიტანოს, ერთიც საბაჟოსათვის უნდა ჩამოიტანოს, ასეთს გლეხებისადმი მოპყრობას ჩემის აზრით ადგილი არ უნდა ჰქონდეს არავითარ შემთხვევაში, რადგანაც დღეს ერთ საჭირბოროტო საკითხს გლეხობასთან დაახლოვება და კავშირი წარმოადგენს და ამისათვის ევალებათ ყველა იმათ, ვინც მთავრობასა და გლეხებს შუა იმყოფება სამსახურში გადაუხვრელად აწარმოვონ ისეთი პოლიტიკა, რომელიც ამათ შორის განამტკიცებს ურთიერთობას და კავშირს—და არა მტრობა უნდობლობას.

დროა ამგვარ არანორმალურ მოვლენებს ბოლო მოეღოს.

მუშკორი მ...ლი ნიკო.

ნამალადევის მუშა-ქალებში

11 ოქტომბერს ნამალადევის თეატრში 1 რაიონის ქალთა წრის მიერ იქნა მოწვეული რკინისგზის მუშა-მოსამსახურეების და ოჯახის ქალები, კრებას ბევრი ქალი დაესწრო. კრებამ ერთხმად აირჩია თავმჯდომარედ ოლია ბიბინეიშვილისა კრების მოწვევის საგანი იყო გერმანიის თანამედროვე მდგომარეობის გაცნობა. მოხსენება გააკეთეს ლ. ქავთარაძემ და მამულიამ. ამით განუმარტეს და აუხსნეს მუშაქალებს ის აუტანელი პირობები, რომელშიაც დღეს გერმანიის მშრომელი ხალხი იმყოფება და რომელიც შექმნა ბურჟუაზიასთან ერთად სოციალისტ-შეთანხმებლების პოლიტიკამ. მომხსენებლები შეეხენ აგრეთვე ვერსალის ზავის პირობებს, რურის ოკუპაციას, მარკის კურსის დაცემას, რომელიც ქმნის გერმანიაში, გამოუსვლელ მდგომარეობას. ეს გაჭირვება ყველაზე მეტად აწვება იქაურ მშრომელებს და სწორედ ამ შეკავშირებულმა მშრომელმა ხალხმა უნდა ებრძოლოს როგორც შინაურ, ისე გარეშე მტრებს და შექმნას ის პირობები, რომელიც გამოიყვანს მუშათა მასას ამ ჩიხიდან. ეს იქნება სოციალისტური რევოლიუცია და მშრომელთა დიქტატურა. კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ჩვენ 1 რაიონის მუშებმა, მოსამსახურეებმა და ოჯახის ქალებმა, მოვისმინეთ რა ამხ. ქავთარაძის და მამულიას მოხსენება გერმანიის მდგომარეობის შესახებ, მხურვალე სალამს უძღვნით გერმანიის პროლეტარიატს პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვებისთვის გმირულ ბრძოლისათვის, ჩვენ იმედი გვაქვს, გერმანიის რევოლიუცია გამოიწვევს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას.

ამიტომ ჩვენ მოუწოდებთ როგორც ტფილისის პროლეტარიატს, ისე ყველა მუშა-მშრომელებს გერმანიის დახმარებისაკენ. გაუმარჯოს საბჭოთა გერმანიას! გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას და კლარა ცეტკინს!

მუშა ხიდისთაველი.

ხელოვნება

რუსთაველის თეატრი

„ინტერესთა თამაში"

ხასინტო ბენავენტესი

ამ პიესის ქართულ სცენაზე დადგმა—ეს არის სრულიად ახალი სიტყვა ქართული თეატრისათვის.

ეს არის გაზავებული და ფაქიზი სატირა ცხოვრების სიყალბესა და იქ გაბატონებულ ანგარებაზე. ეს ანგარება შეიძლება იყოს ქონებრივიც, ზნეობრივიც და სულიერიც.

ამბავი პიესისა ასეთია:

ერთ ქალაქში მოდის ორი დამნაშავე მაწანწალა ლეანდრ და კრისტენი. იმათ სულის აქეთ არაფერი აბადიათ გარდა ის თითო ხელი მშვენიერი ტანისამოსისა, რაც ზედ აცვიათ.

რა წუთში ჩავარდნენ—აღარ იციან. აქ კრისტენი გადასწყვეტს, რომ მოხერხებითა და გაბედულობით, ანუ უკეთ თავხედობით—ამ ცხოვრებაში ყოველთვის იოლად წავა კაცი:

ლეანდრი არის ვითომ დიდებული ბატონი და თვითონ კი—მისი მოსამსახურე.

ამ ყალბი სახით დადგებიან სასტუმროში. მშვენიერ ოთახებს ატარებენ. თავიანთ ხარჯზე, (რასაკვირველია ნისიათ) ასაზრდოებენ კიდევ ერთ კაპიტანსა და მგოსანს.

ხარჯი იზრდება. ლეანდრი სასოწარკვეთილებაშია. კრისტენი ანუგეშებს.

იმავე ქალაქში ჰმართავს სალაშო-ზეიმს ქალბატონი სირენი. იქ მიდის სტუმრად სოვდაგარი პოლიშინელი თავისი ნორჩი ქალიშვილი სილვიათი.

კრისტენი და ლეანდრიც იქ არიან. კრისტენის რჩევით ლეანდრომ გაბედ უნდა შეიყვაროს სილვია. ამით პოლიშინელს დასტყუებენ რამე სიმდიდრეს—და ამგვაროდ საქმეც გამოსწორებულია.

მაგრამ ლეანდრის და სილვიას მართლა შეუყვარდებათ ერთმანეთი, გარეშე ყოველგვარი სიყალბისა.

პოლიშინელი კიდევ იცნობს ამ მრავლად დამნაშავე მაწანწალებს და თავზე დაახვევს მთელ ხელისუფლებასა და სასამართლოს.

თითქოს ანდერძი აგებულია მაწანწალებისთვის.

მაგრამ აქ ისევ კრისტენის მოხერხება ყველაფერს სასიკეთოდ შეატრიალებს.

ის დაარწმუნებს ყველას, რომ არავის ინტერესი არ მოითხოვს მათ დასჯას: პირიქით ყველა მოგებული დარჩება, ვინ ზნეობრივად და ვინ ქონებრივად, რომ ლეანდრის ხელი მოუმართონ და შეირთოს სილვია.

მართლაც ანგარების მოსაზრებით, დასჯის მაგიერ, ყველა ესარჩლება მაწანწალებს და ხელსაც უმართავენ.

მაგრამ ლეანდრი და სილვია უიმათოდაც შესისხლხორცებულან ერთმანეთთან იმ [illegible] სიყვარულით, რომელიც მარადიულის ღიმილით ზევიდან დასცქერის მთელი ცხოვრების სიყალბესა და ანგარებას.

პიესაში ყოველი სიტყვა, ყოველი მიხვრა-მოხვრა რითმიულია და მუსიკასთან შეწყობილი.

ეს უცხო სანახაობაა ქართულ სცენაზე. ევროპაში კი, განსაკუთრებით პარიზში, სულ ჩვეულებრივი მოვლენაა.

თეატრ „ფოლი ბერჟერში" და „მარინიში" განსაკუთრებით სდგამენ ხშვა და სხვა „რევიუს". ეს არის სატირა ცხოვრებისა და საჭირ-ბოროტო კითხვებისა მსუბუქი, ფერადოვანი და ხალისიანი ჰანგით ასახული.

„ინტერესთა თამაშიც" იგივე „რევიუა"—უფრო სერიოზულის სახით.

შინაარსის დასკვნა ასეთია: მართალია, ცხოვრება შესდგება უმეტეს ნაწილად სიყალბისა და ანგარებისაგან, მაგრამ იქავე ანთია ყოველთვის ჩაუქრობელი ლამპარი რაღაც დიადის, უკვდავის, მარადიულის. ამ შემთხვევაში—სიყვარულისა.

ამ ხასიათის პიესა, როგორც პირველად დადგმული ჩვენში—ძალიან ძნელი სათამაშოა, რადგან ჩვენი მსახიობნი სულ სხვა სკოლაზე არიან აღზრდილნი.

და სწორედ ამ დადგმამ გამოაშკარავა, რომ ქართველ მსახიობთა ნიჭიერებას შეუძლია ფეხ და ფეხ მიჰყვეს ევროპის თანამედროვე თეატრს.

ყველაზე ძნელი როლი არის კრისტენისა. ასახიერებდა ა. ვასაძე. ის არის სული და ხორცი, ის არის შემომქმედი მთელი პიესისა. ამ როლს ძალიან დიდი გასაქანი აქვს. აქ საჭიროა დიდი მოქნილობა და პირდაპირ ჯამბაზობა როგორც სულიერი, აგრეთვე—სხეულებრივიც.

ევროპიულ სცენაზე ამ როლის თამაში—ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგრამ ქართულ სცენაზე მისი შესრულება დიდ უნარს მოითხოვს და ვასაძემ ამ მხრივ დაიმსახურა ნამდვილი ყურადღება.

მან ღირსეულად დასძლია ყოველგვარი სიძნელე როლისა და დაუმტკიცა საზოგადოებას თავისი ნიჭის მრავალმხრივი „მოქნილობა".

მხოლოდ ცოტა ჩქარობდა, და აგრეთვე თითო-ოროლა ადგილას სიტყვები ერეოდა. პიესის ხასიათი კი ისეთია, რომ დაუშვებელმა თუნდ ერთი სიტყვას შეშლაც კი.

მაგრამ ამ ნაკლს სულ ადვილად გამოასწორებს ვასაძე და შემდეგი წარმოდგენისთვის უფრო სრულსახიერი და თამამი წარმოუდგება მაყურებელს.

წესიერად შესრულა ლეანდრის როლი დ. მჟავიამ.

ვ. ანჯაფარიძეს ღირსეულად ჰქონდა მიკუთვნებული ნორჩი სილვიას როლი.

ამ პატარა როლში მან მკაფიოდ დაგვანახვა თავისი უდაო ნიჭიერება. ამ ხუთი წლის განმავლობაში იგი უფრო და უფრო მეტი სიმტკიცით ამართლებს იმ იმედებს, რომელნიც წარმოშვა მან თავისი პირველი მოვლენებით ქართულ სცენაზე.

კარგი იყო ნ. გოცირიძე დოქტორ-მსაჯულის როლში, და [illegible]—მეცნიერისაში.

საერთოდ საამურია, რომ ისეთი ძველი მსახიობნი, როგორც გოცირიძე, ჯავახიშვილი, ნ. დავითაშვილი—ესე ადვილად ითვისებენ ახალ თეატრის სულსა და ტექნიკის მოქნილობას.

მესამე მოქმედება მაინც საუცხოვო იყო თავიდან ბოლომდის. მხოლოდ ნ. გვარამის კილო ებრაულ ლაპარაკისა როგორღაც ვერ არის ბუნებრივი.

დადგმა თავისი სტილითა და შერჩევით—მშვენიერია, ამიტომ კ. მარჯანიშვილმა კიდევაც მიიღო გულწრფელი მადლობა ნასიამოვნები საზოგადოებისა.

მთელი საზოგადოება დიდის ყურადღებით უსმენდა. ერთი ნაწილი უზომოდ იყო აღფრთოვანებული, მეორე ნაწილი კი უფრო გულ-გრილად იძახდა—ვერაფერი გავიგეთო.

შეიძლება ზოგის ხასიათმა ვერ მიიღო მართლა და ვერ აიღო ალღო ამ „ჰანგის" სანახაობას, მაგრამ ერთი კი ცხადია:

ყველა ნასიამოვნები და თანაც დასვენებული—გამოვიდა თეატრიდან.

ხალხი საკმაო იყო და ვარაუდის მიხედვით, ეს სანახაობა თამამად აიტანს რამდენიმე დადგმას.

ლელი.

სახალხო სახლის ქართული დრამა.

როგორც საზოგადოებას მოეხსენება, ა. წ. ოქტომბრის 21-ს გაიხსნა სახალხო სახლის ქართული დრამის სეზონი.

განსაკუთრებული სიამოვნებით აღსანიშნავია ის მოვლენა, რომ წარმოდგენას (შ. დადიანის „გუშინდელნი") სავსე დარბაზი ისმენდა.

რატომ?

იმიტომ, რომ სახალხო სახლს აქვს უძველესი ტრადიცია; რომ ეს ტრადიცია როგორც საზოგადოებას, აგრეთვე მსახიობთ ფაქიზად აქვთ დაცული და რომ მესვეურთ საქმისას სწამთ თეატრის მნიშვნელობა, განსაკუთრებით ფართო მასსისათვის და არავითარ შრომას არ ერიდებიან, რათა შესაძლებლობა მისცენ ღარიბ ნაწილს ჩვენის საზოგადოებისას წარმოდგენის ხილვისა, ყოველდღიურ ჭირ-ვარამის შემდეგ სიამოვნება-ტკბობის განცდისა და სილამაზე სიფაქიზის შეგრძნებისა.

და ამ მიზნით გატაცებულთ, ქართულ დრამის წრის მომუშავეთ ნაკლებად აინტერესებთ პირადი ინტერესების დაცვა და ღარიბ მასსის წინაშე თეატრის კარების მიხურვას არ დაუშვებენ.

ამისათვისაა შეფასებული პირველი რიგის ბილეთი მხოლოდ 30 კაპ. (ჩერვონეცის კურსით) და უკანასკნელი რიგისა კი 5 კაპ.

ეს კიდევ არაფერი.

მოგეხსენებათ, რა დიდი თანხაა საზოგადოდ საჭირო სეზონის დაწყებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ სახალხო სახლის ქართულ დრამისათვის არავის გაუწევია დახმარება, თუნდაც უმნიშვნელო სუბსიდიის სახითაც კი, წრემ მაინც შესძლო (ვალების აღებით) ფარდის აწევა, რომელსაც წარუძღვნა ორი თვის ინტენსიური მუშაობა.

უკვე ორი თვეა დასი ყოველდღიურად მუშაობს და არც ერთ წევრს არ მიუღია ყურ-გახვრეტილი გროში!

ვსთხოვეთ მთავრობას თვიურად მხოლოდ 30 ჩერვონეცი. ვიმედოვნებთ, რომ დადებითი პასუხი მალე დასს მისცემს შესაძლებლობას მეტის აღფრთოვანებით მუშაობისას..

მაგრამ, სამწუხაროდ, ამნაირივე მოთმინებით არ აღიჭურვა ქალაქის აღმასკომი და, მიუხედავად ქართულ დრამის წრის ნივთიერად უნუგეშო მდგომარეობისა, წარმოდგენის დასრულებამდე წაიღო კასიდან შენობის ქირად შემოსავლის 30 პროცენტი, ესე იგი, 164,400,000 მ.

ხარჯები რომ მარტო ამით განსაზღვრულიყო, კიდევ შეურიგდებოდა კაცი ამას, მაგრამ უბედურება ისაა, რომ წარმოდგენიდან დარჩა მხოლოდ დეფიციტი.

აი, ციფრებიც.

გასავალი:

1) აფიშების დაბეჭვა	50.000 000 მ.
2) აფიშების ვიზისათვის ქალაქის აღმასკომს *) . . .	49 000.000 „
3) აფიშების გაკვრა	49 000.000 „
4) ბილეთების წიგნაკი	10.000.000 „
5) დეკორაციების შეკეთება **) . . .	200.000.000 „
6) ქალაქის აღმასკომს სახალხო სახლის ქირად (ერთ ღამეში)	164.400.000 „
7) 1 პროცენტი თეატრის მოლარეს .	5.450.000 „
8) რეკვიზიტი და პარიკმახერი . . .	50 000 000 „
სულ	583 850.000 მ

მთელი შემოსავალი იყო . . . . 548 000 000 მ

ამნაირად 35 850 000 მ. დეფიციტია. საიდან უნდა დაიფაროს ეს დეფიციტი?

რანაირად უნდა დავაკმაყოფილოთ ტეხნიკური პერსონალის ის ნაწილი, რომელიც ორი თვეა ღებულობს 97 საქონლის მანეთს (5 კაცი) თვიურად და მეორე ნაწილი კი მოთმინებით ელის მზიან დღეს ქართულ დრამის ცხოვრებაში?

რა უნდა ჰქნას მთელმა დასმა, რომლის არც ერთ წევრს, როგორც ზევით ვსთქვით, არაფერი არ მიუღია?

ამნაირი სინამდვილე უიმედობას დაჰბადებს და უიმედობას კი შეუძლია სასიკვდილოდ დაავადოს სახალხო სახლის ქართული დრამა, რომელსაც აქვს 30 წლის ბრწყინვალე ისტორია. და ეს კი, გვგონია, არავისათვის არ უნდა იყოს სასურველი.

ველით დამხმარე ხელს.

სახალხო სახლის ქართულ დრამის გამგეობის თავმჯდომარე

სოლ. ახვლედიანი.

---

*) აფიშის ვიზის გადასახადიდან განთავისუფლებულია სხვა თეატრები და სახალხო სახლის ჩვენმა დრამამ ვის რა დაუშავა?

**) ესეც ქალაქის ნობათია.

პროვინციაში

სოფ. ალბულახი (გარე კახეთი)

ალბულახის საზოგადოება შესდგება სულ 180 კომლისაგან მოსახლეობა კულტურული მხრივ ძალიან ჩამორჩენილია. აქ იშვიათად ნახავთ წერა-კითხვის მცოდნეთ, როგორც კაცებს, ისე მით უმეტეს ქალებს. ამ სოფელში 8 ოქტომბერს ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების განკარგულებით გაგზავნილ იქნა ქალთა შორის მუშაობის ჩასატარებლად ამხ. ლ. ბიბინეიშვილი. ლენინის სახელობის პაპიროსის ქარხნის მუშების ამხ. დონდუას და [illegible] თაოსნობით აქ მოწვეულ იქნა ორი კრება. პირველი კრება, რომელიც ცალკე მამაკაცებისაგან შესდგებოდა, გახსნა ამხ. დონდუამ. ამხ. ბიბინეიშვილმა გააკეთა მოხსენება გერმანიის ამბების შესახებ, აგრეთვე საგადასახადო პოლიტიკის შესახებ. მან მოუწოდა გლეხებს დაეხმარონ გერმანიის პროლეტარიატს. გლეხებმა ფიცი დასდვეს, რომ პირველი საჭიროებისათანავე იარაღით ხელში დაიცავენ გერმანიის პროლეტარიატს და მსოფლიო რევოლიუციას. გადასახადის შესახებ გლეხებმა დაავალეს ამხან. ბიბინეიშვილს, რომ მან იშუამდგომლოს, რათა ეხლანდელი გადასახადი ეპატიოს ალბულახის გლეხობას, რადგან მათ წელს საგრძნობლად დიდი ხარჯი აწევთ კისერზედ: სასწავლებლის შენობის აგება; ამავე დროს ყანები სეტყვამ დაუსეტყვათ. ის გადასახადი, რომელიც ნატურით უნდა აიკრიფოს, დატოვებულ იქნას აქვე ამ სოფელში სკოლის შენობის ასაგებათ.

შემდეგ გაიმართა ქალთა კრება, სადაც მთელი სოფლის ქალებმა მიიღეს მონაწილეობა. ამხ. ბიბინეიშვილმა გააკეთა მოხსენება გერმანიის მდგომარეობაზედ და აგრეთვე გააცნო ქალებს მათი ცხოვრება, როგორც წარსულში, ისე აწმყოში, აგრეთვე მათი მოვალეობა ახალი ცხოვრების აღმშენებლობაში. კრებამ მხურვალე სალამი გაუგზავნა გერმანიის მებრძოლ პროლეტარებს და უსურვა დიდ ბრძოლაში გამარჯვება. ამ დროს იქვე მახლობლათ სოფლის მოწაფე ბავშვებმა პატივისცემის ნიშნად კრების უმღერეს ინტერნაციონალი.

მუშკორი ფეფუცა ირემაშვილი.

ბიბლიოგრაფია

ჩვენი სკოლა

[illegible] გოგიას, თ. კიკვიძის და ფ. მაღლაძის მიერ. ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა. ტფილისი 1923 წ.

როგორც თვით ავტორები გვეუბნებიან ეს წიგნი შედგენილია „ზმნა და ბგერითი მეთოდით"... ამ წერილში ჩვენ არ შევუდგებით იმის მტკიცებას, თუ რომელი მეთოდი უფრო მიზანშეწონილია ჩვენი სახალხო სკოლისათვის. ეს საკითხი ჯერ ჯეროვნად არაა საკმაოდ გაშუქებული ქართულ პედაგოგიურ ლიტერატურაში, რაც სათანადო ცდების მოხსენებასა და დროს მოითხოვს. რაც შეეხება ბგერითი მეთოდს, ეს უკვე ხილულია ჩვენში. ზემოდ დასახელებულ ავტორების მიერ შედგენილი ანბანი, მართალიც ბგერითი მეთოდზეა აგებული.

ამ წიგნის ანბანის შესასწავლი მასალა მოთავსებულია 1—37 გვერდზე და შეიცავს 82 გაკვეთილს. 38—39 გვ. გვ. არის შეკრებილ ასოების სახელები და ძველად ხმარებული ასოები. 40-41 გვ. გვ. მოთავსებულია სურათები და ორი ლექსი: 1) „ყაყაჩო და ყანწვილი" და 2) „სკოლისაკენ".

თითქმის მთელი მასალა აღებულია ჩვენი ქვეყნის [illegible] და უმეტესად კი სოფლის ხალხისა, ცხოველთა და ბავშვთა ცხოვრებიდან. თითოეულ ანბანს წინ უძღვის [illegible] შესრულებული სურათი. პირველ ზედ გაკვეთილში ყოველ ასოს შემდეგ საკითხავი მასალა წარმოადგენს ცალკე სიტყვებსა და წინადადებებს, ხოლო შემდეგ გაკვეთილებიდან კი, როცა უკვე ბავშვებს შესწავლილი აქვთ 9 ასო, გარდა ცალკე სიტყვებისა და ფრაზებისა მოთავსებულია პატარა-პატარა მოთხრობები, რომელთაც თითოეულ შემთხვევაში უმეტესად წინ უძღვის მათი შინაარსის გამომხატველი ფერადი სურათი.

აღსანიშნავია, რომ როგორც საკითხავ ტექსტში, ისე სურათებზე თითქმის სრულიად არ ჩანდება ჩვენი სოფლის ბავშვთა [illegible] უცნობისა და ძველ სახელმძღვანელოთა დამახასიათებელ ქალაქისა და სოფლის შეძლებულ კლასთა ცხოვრებიდან აღებულ მასალის და მოწყობილობას.

არ შეგვიძლია არ დავეთანხმოთ ავტორებს, რომ მათ მიერ შედგენილ სახელმძღვანელოში ხმარებული ენა მარტივი და ადვილი გასაგებია ჩვენი ქვეყნის ყველა ადგილებისათვის.

მასალა ძლიერ საინტერესოა და სიძნელის თანდათანობის დაცვით დალაგებული. მოთხრობები თანდათან სრულდება.

უნდა შევნიშნოთ, რომ წიგნში მოთავსებულია მხოლოდ ორი ლექსი, ისიც ხელთნაწერი ასოებით დაბეჭდილი და წიგნის ბოლოში მიგდებული. თუ ავტორები, როგორც ისინი ამბობენ, [illegible] ბავშვთა აღზრდის საქმეში ესთეტიური მხარე [illegible], რომ გარდა ლამაზად შესრულებულ სურათებისა, აგრეთვე სხვადასხვა წიგნში [illegible] კარგი ხმით დაწერილი ლექსებიც.

ზოგიერთი სურათი ვერაა სათანადოთ შესრულებული და, ჩვენის აზრით, შემდეგი გამოცემისთვის ისინი უნდა შესწორდეს.

ასეთებია, მაგალ. 1) მე-20 გვ-ის შემდეგ ფერად სურათზე [illegible], კარი და [illegible] თითქმის ერთი ფერისაა. 2) მე-26 გვ-ის შემდეგ ფერად სურათზე პატარა ქალი თითქოს ძალიან კუდზეა შემდგარი. 3) მე-30 გვ-ის შემდეგ პირველ ფერად სურათზე ყვავი დიდია და ძლიერ [illegible] ხეზე; 4) მე-35 გვ. წინ, [illegible] არაა კარგად დახატული, [illegible] დიდია. 5) მე 36 გვ. შემდეგ ფერადი სურათების ადგილები უნდა შეიცვალოს: პირველის ადგილზე უნდა მოთავსდეს მეორე და, პირიქით, თანახმად მოთხრობისა. 6) მე 40 გვ. შემდეგ პირველ ორ ფურცელზე მოთავსებული ფერადი სურათები ლითოგრაფიის მიერ ცუდათაა შესრულებული.

საერთოდ, როგორც მასალის დალაგებით და მისი შინაარსით, ისე გარეგანი ღირსებით ეს წიგნი კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. ანბანის ასეთი კარგი გამოცემა, როგორც ვიცით, ჩვენში პირველი მაგალითია.

პედაგოგი.

მხოლოდ ცნობისათვის

(შ. დადიანს)

თქვენი ნათქვამი ექსპრესიონიზმის შესახებ სხვა არის და რადლოვის მიერ თქმული კიდევ სხვა. საამისო მასალა რადლოვის იმავე წერილში საკმაოდ მოიპოვება: თუმცა იგი ეხება მხოლოდ სახვით ხელოვნებას და ისიც გაკვრით. მაგრამ მე არ მინდა ამის შესახებ გაუთავებელი დისკუსია გაიმართოს გაზეთის ფურცლებზე; მით უმეტეს, რომ ეს პატარა ამბავი, სხვა რომ არა ვთქვა, მოსაწყენია. საბედნიეროდ რადლოვი ცოცხალია და ალბად ის მისცემს უფრო სწორ განმარტებას თავის ნათქვამს. მაშინ, ვგონებ, მისი „მთელ მსოფლიოში ცნობილობაც" გამოირკვევა. უკანასკნელს არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, მაგრამ, როგორც კურიოზი, დამახასიათებელია.

გრიგოლ რობაქიძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი იტყობინება, რომ შაბათს, 27 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, მესამე რაიკომის შენობაში შედგება მე-3 რაიკომის გაფართოებულ პლენუმის სხდომა უჯრედების მდივნებთან, დელეგატებთან და უჯრედების ხელმძღვანელებთან ერთად.

დღის წესრიგი:

1. რაიკომის მდივნის მოხსენება რაიკომის მუშაობის შესახებ.
2. პოლიტიკურ ცოდნის გასინჯვის შედეგები.
3. მიმდინარე საქმეები.

მდივანი ვართაპეტიანი.

მე-2 საუბნო კომიტეტი იუწყება, რომ შაბათს, 27 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, საუბნო კომიტეტის ბინაზე, შესდგება გაფართოვებული პლენუმი, უჯრედების მდივანთა, მე 2 უბნის უჯრედებთან მიწერილ სამხედრო ნაწილთა და აგრეთვე უჯრედებზე მიუწერელ, მაგრამ მე-2 უბნის ფარგლებში მყოფ ჯარის ნაწილთა წარმომადგენლების მონაწილეობით.

დღის წესრიგი:

1. პოლიტშემოწმების შედეგები და საპროპაგანდო მუშაობის პერსპექტივები.
2. ოქტომბრის დღესასწაულები.

მდივნის მაგიერ ნაზაროვი.

კვირას, 28 ოქტომბერს შესდგება ექსკურსია პროფ. თვალჭრელიძის და თათრიშვილის ხელმძღვანელობით ავლაბრის ბოტანიკურ ბაღის და მინერალური წყლების დასათვალიერებლად.

შესაკრები პუნქტი—განათლების მუშაკთა სახლი, კალოუბნის ქ. № 3 დილის 9 საათზე.

სამშაბათს, 30 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე შესდგება ყველა საბავშვო სახლების, ბაღების და სკოლების გალობის მასწავლებელთა კრება (მიუხედავათ იმისა, თუ რა ენაზე სწარმოებს გალობის სწავლება).

განათლების მუშაკთა სახლის გამგე შიუკაშვილი.

განცხადებები

გამგეობა ქართულ [illegible] მომხმარებელი საზოგადოებისა აუწყებს, რომ ხუთშაბათს, 25 ოქტომბერს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საზოგადოების მთავარი ბუღალტერი

პეტრე იაკობის ძე ფედოროვი.

1—1 86

ღრმად დამწუხრებული დედა ანნა (ცაცო), ძმები: ალექსანდრე და დათიკო, და ნინა, რძალი ვალენტინა და სიძე პეტრე მაღრაძე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებს და ამხანაგებს უდროოდ დაკარგვას

ილარიონ სპირიდონის ძე ქებაძისას

დასაფლავება მოხდება კვირას, 28 ოქტომბერს, ახალი სტილით, დაბა საჩხერეში.

1—1 8

7 ნოემბერს გამოვა 1-ლი №-რი სალიტერატურო სამხატვრო საილუსტრაციო
ორ-კვირეული ჟურნალი:
დროშა

ჟურნალში იქნება შემდეგი განყოფილებანი:

1. ბელეტრისტიკა.
2. პოეზია.
3. თეატრი.
4. მუსიკა.
5. მხატვრობა.
6. ქანდაკება.
7. კრიტიკა.
8. ბიბლიოგრაფია.
9. მეცნიერება და ტეხნიკა.
10. კინო.
11. სპორტი.
12. მატიანე.
13. იუმორი.
14. ნარევი.

ილიუსტრაციები საქართველოს და უცხოეთის ცხოვრებიდან. ჟურნალში მონაწილეობენ: მწერლები და საზოგადო მოღვაწენი. საკუთარი კორესპონდენტები: მოსკოვში, [illegible], ბერლინში, პარიზში, რომში, ლონდონში, საქართველოს და კავკასიის ყველა ქვეყნებში.

ჟურნალში იქნება 32 გვერდი.
მიიღება ხელის მოწერა და განცხადებანი.
პასუხისმგებელი რედაქტორი: მიხ. კახიანი.
რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი: საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა.
მისამართი რედაქციის და კონტორის: რუსთაველის პრ. № 22.

კრ. 710 2—

სენაკ-აბაშის სახალხო სასამართლოების აღმასრულებელი

ლ. კიზირია, ამით აცხადებს, რომ სოფ. საჭილაოში, სენაკის მაზრისა 27 ნოემბერს 1923 წელს დილის 10 საათზე მოხდება

საჯარო ვაჭრობით

გაყიდვა მოძრავი ქონებისა, რომელიც შესდგება სახარხნო და საცხოვრებელ შენობებისაგან, სახერხ ქარხნის მანქანებისა და მათი ნაწილებისაგან, ელექტრო დინამო მაშინებისაგან და განათების მოწყობილობებისაგან, სახერხ დაზგა მანქანებისაგან, სახელოსნო ხელსაწყო აღჭურვილობისაგან, სახლების მოწყობილობებისაგან და სხ., რომელიც ეკუთვნის ამხ. ლ. და ა. [illegible] ფირმას, ხის მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის ცენტრალურ გამგეობის ვალის დასაკმაყოფილებლად, რაც შეადგენს 36.597.64 ბაჟალლოს მან. 3 პროც. საურავით დღიურ 3.581.71 ბაჟალლოს მანეთზე 1 ივლისიდან 1923 წ. ვალის გადახდის დღემდის და საქმის საწარმოებელი 2407,31 ბაჟალლოს მან. აწერილი ქონება დაგირავებული აქვს გირავნობით 5 ოქტომბრიდან 1922 წ. ამიერკავკასიის რკინისგზათ სამმართველოს 7.912 მან. ოქროთი, რომელ თანხაშიდაც [illegible] აწერილი ქონებას. გასაყიდი ქონება შეფასებულია 70.000 მანეთი ოქროთი ანუ 115.000 ბაჟალლოს მანეთად. ქონების აწერილობა და შეფასება მსურველს შეუძლია დაათვალიეროს ყოველდღე გარდა უქმისა და საჯარო ვაჭრობის მოხდენის დღეს. 18 ოქტომბერს 1923 წელს.

სენაკ-აბაშის სასამართლოს აღმასრულებელი კიზირია.

772—2

საბავშვო საკონსულტაციო-სამკურნალო კაბინეტი ექიმ ძმ

გ. დ. ხანციხის

მედიცინის ექიმის **ვ. ვ. შენგელიძის**

მედ. კონსულტაციით. მიღება ყოველდღე (გარდა კვირისა) 2-დან 4 საათამდე. ძუძუმწოვარ ბავშვებისათვის კონსულტაცია—ოთხშაბათობით და შაბათობით. კრუზენშტერნის ქუჩა № 1. (რუსთაველის პრ. კუთხე) № 18—14.

(46—25

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ვ. ვ. მებრაბიანცისა
რენტგენის ელექტრო-სხივებით და სინათლით ექიმობა
ყოველ დღე 9—1 ს. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა №

78 2

დაიკარგა წიგნაკი უმუშევრობის ბირჟიდან მიცემული ბაკურაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1—1 8

დაიკარგა ექვსი კლასის დამთავრების მოწმობა, მიცემული ტფილისის საერთო განათლების კურსებიდან ილიას ძე კოპალეიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1

დაიკარგა პასპორტი არაქსინ ცატურის ასულის შ სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1-

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 4.